პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 30 იანვარი, 1949 წ. № 21 (8324). ფასი 20 კაპ.

გუშინ მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობამ. ყრილობის დილის სხდომაზე დელეგატებმა ხანგრძლივი მქუხარე ტაშით მიიღეს მისასალმებელი წერილი ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მქუხარე ტაშით მისასალმებელი დეპეშა მიიღო ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. დახურული (ფარული) კენჭისყრით ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტის წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები და სარევიზიო კომისიის წევრები.

მოსკოვი

# საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობის დელეგატები გულითად ბოლშევიკურ სალამს გითვლიან თქვენ, პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გენიალურ ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ მამასა და მასწავლებელს!

ჩვენი ყრილობის საგულისხმო დღეებში ჩვენ სიამაყით ვიგონებთ საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სახელოვან რევოლუციურ წარსულს, რაც განუყრელად არის დაკავშირებული თვითეული ჩვენგანისათვის, თვითეული მშრომელისათვის ძვირფას თქვენს სახელთან. ნახევარმა საუკუნემ გაიარა მას შემდეგ, რაც თქვენ მოაწყეთ და სათავეში ჩაუდექით თბილისის მუშების რევოლუციურ მოძრაობას, საფუძველი ჩაუყარეთ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, დასძლიეთ უდიდესი დაბრკოლებანი და მშრომელებს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით წაუძღვით თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დიდ ლენინთან ერთად, თქვენ, ამხანაგო სტალინ, შექმენით ახალი ტიპის პარტია — ბოლშევიკების პარტია და 50 წელზე მეტი ხანია, რაც დაუღალავად აწრთობთ მას, აძრავლებთ მის ძალასა და დიდებას საბჭოთა ქვეყნის ხალხთა და მთელი მშრომელი კაცობრიობის სასიხარულოდ.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხებმა სოციალიზმი ააშენეს. თქვენი წინამძღოლობით სამშობლომ დაიცვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა იმპერიალიზმის ბნელ ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაში.

ახლა, როცა განადგურებულია ჩვენი დიდი ხალხის უბოროტესი მტრები, საბჭოთა კავშირის მშრომელები, ასრულებენ რა თქვენს გენიალურ წინასწარდასახულობათ, ზეიმზედ აღწევენ გამარჯვებას სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ქართველმა ხალხმა, რომელიც განუხრელად ახორციელებს თქვენს ბრძნულ მითითებებს, ჩვენი ქვეყნის ყველა ძმებ ხალხთან ერთად, სერიოზული წარმატებანი მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის განვითარების ომისშემდგომი გეგმის შესრულებაში.

რესპუბლიკის მრეწველობის ომისშემდგომი გარდაქმნა დამთავრდა 1946 წელს. 1947 წელს უკვე მიღწეულ და გადაჭარბებულ იქნა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე. მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 1948 წელს წინა წლის დონეს გადააჭარბა 15,5 პროცენტით, ხოლო ომამდელი, 1940 წლისას — 29,5 პროცენტით. საქართველოს მრეწველობამ საერთო პროდუქციის ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა 112,2 პროცენტით შეასრულა.

საქართველოს სამეურნეო მშენებლობის დამახასიათებელ თავისებურებას მიმდინარე ხუთწლედში წარმოადგენს მძიმე ინდუსტრიის — შავი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის, ავტომობილმშენებლობის, დაზგათმშენებლობის, მსხვილი ჰიდროენერგომშენებლობის მძლავრი განვითარება.

უკვე 1948 წელს წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციაში გადიდდა 1940 წლის 40,4 პროცენტიდან 48 პროცენტამდე 1947 წელს.

საქართველოს უდიდესი ახალმშენებლობა ომისშემდგომ ხუთწლედში არის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც თქვენი ინიციატივით შენდება. წელს ქარხანა გამოუშვებს ფოლადის პირველ ნადნობს და ახლო მომავალში გადაიქცევა მძლავრ საწარმოდ, რომელსაც დასრულებული მეტალურგიული ციკლი ექნება. საავტომობილო ქარხანა, რომელიც ქალაქ ქუთაისში შენდება, წელიწადში 30 ათას სატვირთო ავტომობილს გამოუშვებს.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოქსვადი ქვანახშირით უზრუნველყოფამ და საქართველოს სწრაფად მზარდი მრეწველობის სულ უფრო გადიდებულმა მოთხოვნილებამ სათბობზე გვიკარნახა ახალი ქვანახშირის შახტების მშენებლობის ფართოდ გაშლა და ქვანახშირის მოპოვების მკვეთრი გადიდება. 1948 წელს მოპოვებულ იქნა ერთიორად მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1940 წელს.

ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურებისა და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგურის მეორე აგრეგატის აგებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ რესპუბლიკის ელექტროსადგურთა სიმძლავრე 1948 წელს, 1940 წელთან შედარებით, გადიდდა 85 პროცენტით, ხოლო ენერგიის წლიური გამომუშავება — 62 პროცენტით.

მტკიცედ აძლიერებს მადნის მოპოვების ტემპს მარგანეცის მრეწველობა — საქართველოს მრეწველობის ეს უძველესი დარგი. 1948 წელს მან გამოუშვა სასაქონლო პროდუქცია 45 პროცენტით მეტი, ვიდრე 1945 წელს.

განუწყვეტლივ მატულობს მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება და უმჯობესდება ამ პროდუქციის ხარისხი. 1948 წელს მასობრივი მოხმარების საქონელი გამოშვებულ იქნა 67,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

საქართველოს საკვები მრეწველობამ შარშან გამოიმუშავა ხარისხოვანი ბაიხაო ჩაი 20,7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს და 28,3 პროცენტით მეტი, ვიდრე 1947 წელს.

საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა გადაჭარბებით შეასრულეს თქვენს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი და 1948 წელს მოგვცეს 168 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება.

ახალი მძლავრი აღმავლობის გზაზეა საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა. რესპუბლიკის კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი წლითიწლობით მტკიცედ ზრდიან სუბტროპიკულ და ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა 1947 და 1948 წლებში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გადაჭარბებით შეასრულეს თქვენთვის, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მოცემული პირობა.

1948 წელს მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა 46.600 ტონა ძირითადი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 41.200 ტონისა, ანუ 11.052 ტონით მეტი, ვიდრე ფაქტიურად ჩაბარებული იყო 1947 წელს.

მიუხედავად ძლიერი ყინვისა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ციტრუსოვანთა მოსავალი აფხაზეთში, საქართველოს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1948 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 695,5 მილიონზე მეტი ციტრუსოვანი ნაყოფი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 580 მილიონი ცალისა, და 270 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

საქართველოს ბოლშევიკები დაუღალავად ზრუნავენ თქვენი ინიციატივითა და უშუალო მითითებით შექმნილი, მთელი ჩვენი სამშობლოსათვის ძვირფასი სუბტროპიკული მეურნეობის განუწყვეტლივი გაფართოებისათვის. 1947-1948 წლებში გაშენდა 3.447 ჰექტარი ლიმონისა და ფორთოხლის ახალი პლანტაცია. დიდდება ჩაის პლანტაციების ფართობი და მოსავლიანობა. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის სამ წელიწადში დაირგო 15 მილიონზე მეტი ძირი ევკალიპტი.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მიღწეულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგში — მევენახეობაში. 1948 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 43.200 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35.700 ტონისა — 10.200 ტონით მეტი, ვიდრე 1947 წელს და 7.100 ტონით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ბევრად გადიდდა ჩვენი ხეხილის ბაღების მოსავალი. 1948 წელს დამზადდა ერთისამად და უფრო მეტი ახალი ხილი, ვიდრე 1947 წელს და ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ყოველწლიურად მატულობს თამბაქოს მოსავლიანობა და საერთო მოსავალი. სახელმწიფოს ჩაბარდა 1948 წლის მოსავლის 15.100 ტონა თამბაქოს ნედლეული—გეგმის 116 პროცენტი და 3.263 ტონით მეტი, ვიდრე 1940 წელს. თამბაქოს დამზადება გრძელდება.

კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს 1948 წელს ჭარხლის მთესველმა კოლმეურნეობებმა: შაქრის ქარხანას ჩაბარდა 354.000 ცენტნერით მეტი ჭარხალი, ვიდრე 1940 წელს.

შარშან, 1940 წელთან შედარებით, მარცვლეულ კულტურებს 31.000 ჰექტარით მეტი ფართობი ეკავათ. ამ კულტურების საშუალო მოსავლიანობამ 1948 წელს ჰექტარზე 12,4 ცენტნერს მიაღწია ომამდელი, 1940 წლის 8,1 ცენტნერის ნაცვლად. მარცვლეულის საერთო მოსავალი 1948 წელს 50 პროცენტით აღემატება 1940 წლის მოსავალს, ხოლო სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება — 142,3 პროცენტით.

კოლმეურნე გლეხობის საერთო შრომაში თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს მეაბრეშუმეებმაც. 1948 წელს მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 3.452 ტონა აბრეშუმის პარკი, ნაცვლად 1945 წლის 2.491 ტონისა.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში 1940 წელთან შედარებით გადიდდა 27,1 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 89,2 პროცენტით, ღორისა — 88,6 პროცენტით, ცხენისა — 8,8 პროცენტით. 1948 წელს დამზადებულია და სახელმწიფოს ჩაბარდა მეტი რაოდენობით, ვიდრე 1940 წელს: ხორცი — 25.550 ცენტნერით, რძე — 392.000 ჰექტოლიტრით. ბევრად გადიდდა მეცხოველეობის ყველა სხვა პროდუქტის დამზადებაც.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებასთან, მინდვრების, ვენახების, ბაღებისა და პლანტაციების მოსავლიანობის ამაღლებასთან ერთად იზრდება კოლმეურნეთა სიმდიდრე და უმჯობესდება მათი კეთილდღეობა.

ერთ მილიონ მანეთზე მეტი ფულადი შემოსავალი მიიღო 1946 წელს 183 კოლმეურნეობამ, 1947 წელს — 264 კოლმეურნეობამ, 1948 წელს — 258 კოლმეურნეობამ, მაშინ როცა 1940 წელს რესპუბლიკაში სულ 48 მილიონერი კოლმეურნეობა იყო.

1947 წელს საშუალოდ რესპუბლიკაში შრომადღეზე გაცემულია მეტი რაოდენობით, ვიდრე 1940 წელს: მარცვლეული — 42 პროცენტით, ფული — 95 პროცენტით. მნიშვნელოვნად მეტია გაცემული შრომადღეზე აგრეთვე ღვინო, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. წინასწარი ცნობებით, 1948 წლისათვის შრომადღეზე გაცემული იქნება პროდუქტებისა და ფულის არანაკლები რაოდენობა.

საკოლმეურნეო წყობილებამ საქართველოს გლეხობას შეძლებული, კულტურული ცხოვრების, თავისი ყოფაცხოვრების ახლებურად მოწყობის შესაძლებლობა მისცა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში სერიოზული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღზრდილმა მეცნიერ მუშაკთა კადრებმა და უხვი მოსავლის მრავალმა ოსტატმა, რომლებიც პრაქტიკულად იყენებენ დიადი მიჩურინული მოძღვრების პრინციპებს.

უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობაში ჩინებული მაჩვენებლების მოპოვებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა სოფლის მეურნეობის 260 მოწინავეს.

მეცნიერ მიჩურინელთა ღონისძიებით, მცდელ კოლმეურნეთა დახმარებით გამოყვანილია ახალი მაღალპროდუქტიული ცხვრის ჯიშები, მიღებულია მაღალხარისხოვანი ჯიშის ქართული ჩაი, წარმოებს მუშაობა ყინვაგამძლე ჯიშების ციტრუსთა გამოსაყვანად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფართოდ გაჩაღებულ მუშაობას კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობად, სამგორის ველის მოსარწყავად, ახალ სხირიგაციო ნაგებობათა ასაშენებლად, რაც თქვენი მუდმივი ყურადღებისა და დახმარების მეოხებით ხორციელდება.

საბჭოთა კავშირის ახალ რაიონებში სუბტროპიკული კულტურების გავრცელების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, რაც მიღებულია თქვენი ინიციატივით, ჩვენ ამ რაიონებისათვის ვამზადებთ ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინისა და ევკალიპტის ასიათასობით ნერგს და დახმარებას ვუწევთ მათ ახალ, ძნელ და კეთილშობილურ საქმეში — საბჭოთა სუბტროპიკების საზღვრების გაფართოებაში.

ომისშემდგომი პერიოდი აღინიშნა იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებით. თქვენი ბრძნული მითითებების საფუძველზე მიღებული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ბოლშევიკური პარტიის დიდი ფუძემდებლების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა და ბიოგრაფიათა გამოცემა უაღრესად თვალსაჩინო როლს ასრულებენ პარტიული პროპაგანდისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმის გაუმჯობესებაში.

საქართველოს ბოლშევიკები ღრმად გამსჭვალული არიან იმის შეგნებით, რომ ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების დაუფლება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს პარტიული და საბჭოთა კადრებისათვის, მთელი საბჭოთა ინტელიგენციისათვის.

პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ ზრუნავენ კადრების თეორიული დონის ამაღლებისათვის, მათი აღზრდისათვის მაღალი ბოლშევიკური იდეურობისა და სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ქართველი ხალხის კულტურამ — ფორმით ნაციონალურმა და შინაარსით სოციალისტურმა — უმაგალითო აყვავებას მიაღწია, რაც შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური წყობილების დროს.

ქართული საბჭოთა მეცნიერების დიდ აღმავლობას მკაფიოდ მოწმობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა, რომელსაც სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების განშტოებული ქსელი აქვს.

ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე, თქვენი ისტორიული მითითებების განსახორციელებლად, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები იბრძვიან მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების იდეური დონის გადაჭრით ასამაღლებლად და შემოქმედებითი მუშაობის გასაძლიერებლად. ამ უკანასკნელ ხანს მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, კინოს მუშაკებმა შექმნეს მთელი რიგი მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებიც წარმოსახავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას.

მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის წარმოებულ მთელ თავიანთ მუშაობაში საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი, მუდამ გრძნობენ დიდი რუსი ხალხის ძმურ დახმარებას, ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის უძლეველ ძალას.

საქართველოს ბოლშევიკები თავიანთ ყრილობაზე მოვიდნენ მჭიდროდ დარაზმულნი ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო. ჩვენთვის ყველაფერზე მაღლა დგას დიდი საბჭოთა სამშობლოს, ბოლშევიკური პარტიის ინტერესები, ხალხის ინტერესები.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის დარგში მიღწეულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი დახმარების მეოხებით, პირადად თქვენი ზრუნვისა და ყურადღების მეოხებით.

ჩვენ მტკიცედ გვახსოვს თქვენი სიტყვები, რომ ბოლშევიკები არ უნდა დასჯერდნენ მიღწეულს. მათი ვალია განუწყვეტლივ იარონ წინ, ფეხდაფეხ მიჰყვნენ ჩვენს დიად ეპოქას, იარონ ახალ-ახალი წარმატებისაკენ. ჩვენი წინსვლის მძლავრი საშუალებაა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, რაც გვეხმარება გამოვამჟღავნოთ მუშაობის ნაკლოვანებანი. პირობას ვდებთ თქვენს წინაშე, ვიყოთ უფრო მომთხოვნელი ჩვენი თავისადმი და ჩვენი მუშაობისადმი, რათა უზრუნველვყოთ ჩვენს წინაშე დასახული ყველა ამოცანის შესრულება.

საქართველოს ბოლშევიკები პირობას დებენ თქვენს წინაშე, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ რესპუბლიკის მრეწველობა ომისშემდგომ ხუთწლედს მიმდინარე წელს შეასრულებს.

ისწრაფვიან რა რაც შეიძლება უფრო სრულად განახორციელონ თქვენი ისტორიული მითითებანი სოციალისტური მიწათმოქმედების ახალი მძლავრი აღმავლობის შესახებ, საქართველოს ბოლშევიკები კისრულობენ:

გავადიდოთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი 1958 წლისათვის 193.000 ტონამდე, ნაცვლად 1948 წლის 46.600 ტონისა იმ ვარაუდით, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ სამამულო წარმოების ჩაით. ამ მიზნით აღნიშნულ პერიოდში ჩვენ გავაშენებთ 25.000 ჰექტარ ჩაის ახალ პლანტაციას და სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეული ჰექტარის საშუალო მოსავლიანობას გავადიდებთ ერთისამად და უფრო მეტად.

გავადიდოთ ციტრუსოვანთა პლანტაციების მოსავლიანობა იმდენად, რომ 4-5 წლის შემდეგ სახელმწიფოს ჩავაბაროთ ყოველწლიურად 2—2,5 მილიარდი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი და 1955 წლისათვის ციტრუსოვანთა ბაღების ფართობი საქართველოში გავადიდოთ 40.000 ჰექტარამდე. ამ მიზნით თვითეული ციტრუსის ხის მოსავლიანობას გავადიდებთ საშუალოდ ერთისამად და უახლოესი 7 წლის განმავლობაში გავაშენებთ 17.500 ჰექტარ ციტრუსის ახალ პლანტაციებს.

გავადიდოთ ვენახების საერთო ფართობი 1955 წლისათვის 75.000 ჰექტარამდე, ნაცვლად 1948 წლის 50.000 ჰექტარისა, და ყურძნის დამზადება — 100.000 ტონამდე.

გავადიდოთ თამბაქოს მოსავლიანობა 1951 წლისათვის 30 პროცენტით, 1948 წელთან შედარებით, იმ ანგარიშით, რომ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ყოველწლიური ჩაბარება ავიყვანოთ 20.000 ტონამდე.

გავადიდოთ უახლოესი 8-10 წლის განმავლობაში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 35-40 პროცენტით, ხოლო სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება სულ ცოტა ერთისამად 1948 წელთან შედარებით.

მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგის შემდგომი განვითარების სახელმწიფო დავალებანი.

კარგად გვახსოვს რა თქვენი მითითებანი, რომ ყოველი საქმის წარმატებას გადაწყვეტენ ადამიანები, ჩვენ მომავალშიც დაუღალავად ავამაღლებთ კადრების იდეურ დონეს და პოლიტიკურ გამოწრთობას, ჩავუნერგავთ მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმის წმიდა გრძნობას, მწვავე სიძულვილს მტრისადმი, შეურიგებლობას ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, განვამტკიცებთ ჩვენს ადამიანებში საბჭოთა ნაციონალური ღირსების მაღალ შეგნებას.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

25 წლის წინათ ბოლშევიკური პარტიის სახელით, ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ხალხთა სახელით თქვენ დასდეთ დიადი ფიცი — წმიდად დაგვეცვათ და შეგვესრულებინათ ლენინის ანდერძი. თქვენ მაღლა ასწიეთ ლენინის დროშა, სათავეში ჩაუდექით საბჭოთა ხალხის ბრძოლას ლენინიზმის დიადი იდეების განხორციელებისათვის.

„უზარმაზარ კლდესავით აღმართულა ჩვენი ქვეყანა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ოკეანით გარემოცული. ტალღები ზედიზედ ეხეთქება მას და წალეკვასა და დანგრევას უქადის. კლდე კი ურყევად დგას". ეს გულში ჩამწვდომი სიტყვები, რომლებიც თქვენ წარმოსთქვით ოცდა ხუთი წლის წინათ, ბრწყინვალედ დაადასტურა ისტორიულ მოვლენათა მთელმა მსვლელობამ, მთელმა ჩვენმა ბრძოლამ, საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა.

მრისხანე ტალღები არასოდეს ისე ძლიერ არ აზვირთებულა, ისე მძაფრად არ დასტყდომია თავს ჩვენს სახელმწიფოს, როგორც განვლილი ომის ქარიშხლის წლებში. მაგრამ ისინიც დაიმსხვრნენ კომუნიზმის ურყევ კლდეზე. არასოდეს ისე ბრწყინვალედ არ გამოჩენილა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უძლეველი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა, მისი უდავო უპირატესობა კაპიტალიზმის წყობილების წინაშე. არასოდეს ისე ბრწყინვალედ, როგორც დღეს, არ გამომჟღავნებულა გენიალური ლენინურ-სტალინური იდეების სიდიადე და ყოვლისშძლე ძალა. იზრდება და მტკიცდება დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი და არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი, ხელი შეუშალოს ხალხთა წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოთი უსაზღვრო სიამაყით აღსავსეა საბჭოთა ადამიანების გული. ჩვენი პარტიის ბრძნულ პოლიტიკაში, თქვენს გენიალურ ხელმძღვანელობაში საბჭოთა ხალხი პოულობს ძალღონეს, რათა უფრო გააძლიეროს ბრძოლა ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების უძლეველ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, ბრძოლებში ნაცადს საბჭოთა ხალხის ავანგარდს!

მრავალ წელს სიცოცხლე და გამარჯვება ჩვენს საყვარელს მამას, ბრძენ მასწავლებელს, პარტიისა და ხალხის გენიალურ ბელადს დიდ სტალინს!

**საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა**

# საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა

### 29 იანვრის დილის სხდომა

29 იანვარს დილით შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობის მეშვიდე სხდომა.

დელეგატების ტაშის გრიალში წაკითხულ იქნა უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVI ყრილობის მისასალმებელი დეპეშა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისადმი.

გრძელდება კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ი. ს. ზოდელავა—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მ. ი. ბარამია—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ამით წყდება კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათში 42 დელეგატმა მიიღო მონაწილეობა.

ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მომხსენებლის დელეგატ კ. მ. თარგამაძის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვა დელეგატებმა დაძაბული ყურადღებით მოისმინეს.

ყრილობამ განსაკუთრებული ერთსულოვნებით, ერთხმად მიიღო დადგენილება: **საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი ცნობილ იქნას სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა—დამაკმაყოფილებლად.**

ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება—დამტკიცდეს სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ყრილობამ აირჩია კომისია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლუციის პროექტის შესამუშავებლად.

დელეგატები ხანგრძლივი მქუხარე ტაშით შეეგებნენ წინადადებას — გაეგზავნოს მისასალმებელი წერილი პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

ამხანაგ სტალინისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტის კითხვა არა ერთხელ შეწყვიტა მხურვალე ტაშმა.

დარბაზში დიდხანს არ წყდება აღფრთოვანებული ოვაცია და მისასალმებელი შეძახილები ლენინ-სტალინის პარტიის პატივსაცემად, ბრძენი ბელადისა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა

და მასწავლებლის საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

შესვენების შემდეგ ყრილობა იწყებს დღის წესრიგის შემდეგი პუნქტის განხილვას — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნებს.

ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას—არჩეულ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი 75 წევრისა და 36 კანდიდატის შემადგენლობით. დელეგატები იწყებენ კანდიდატურათა დასახელებას ფარული კენჭისყრისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში პირველ კანდიდატად მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით ყრილობა ასახელებს პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

დიდი აღფრთოვანებით, ხანგრძლივი ტაშით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ასახელებენ ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლის — ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას კანდიდატურას.

დელეგატები ერთსულოვანი ტაშით ეგებებიან საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის კანდიდატურის დასახელებას.

დელეგატები პერსონალურად იხილავენ ყველა დასახელებულ კანდიდატურას.

ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას — არჩეულ იქნას სარევიზიო კომისია 19 კაცის შემადგენლობით. სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატურებსაც პერსონალურად იხილავენ.

დამთვლელი კომისიის არჩევის შემდეგ თავმჯდომარე ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ყრილობის მეშვიდე სხდომას დახურულად აცხადებს.

## დამთავრდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა

29 იანვარს საღამოს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევისათვის ფარული კენჭისყრის ჩატარების შემდეგ, შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობის საბოლოო სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი.

ყრილობა განსაკუთრებული ერთსულოვნების ვითარებაში იღებს რეზოლუციას საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

დელეგატები დიდი აღფრთოვანებით, ხანგრძლივი ტაშით იღებენ მისალმებას დიდი სტალინის თანამებრძოლის — საქართველოს ბოლშევიკების აღმზრდელის ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი.

წაკითხულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისადმი ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო კ. პ. (ბ) დაღისტნის საოლქო კომიტეტის მისალმებანი.

შემდეგ სიტყვა ეძლევა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ე. ი. ჩერქეზიას, რომელიც ყრილობას მოახსენებს ფარული კენჭისყრის შედეგს.

დარბაზში მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია იმართება, როცა აცხადებენ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ერთსულოვნად იქნა არჩეული დიდი სტალინი.

დელეგატები ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან ცნობას, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ერთხმად იქნა არჩეული ამხანაგი ლ. პ. ბერია.

დელეგატები ერთსულოვნად მიესალმებიან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის არჩევას.

ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია. ყრილობის დახურვისას ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი ამბობს:

— საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მუშაობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მტკიცეა, ბრძოლისუნარიანია და მჭიდროდ არის დარაზმული ჩვენი დიადი ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ეს იმის საწინდარია, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაცია შეასრულებს მის წინაშე მდგომ ყველა პასუხსაგებ ამოცანას, რომ იგი მომავალშიც მაღლა დაიჭერს ლენინიზმის დროშას და ივლის წინ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით!

ამხ. ჩარკვიანის საბოლოო სიტყვებს ტაშის გრიალით ხვდებიან. დელეგატები ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას მართავენ საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინის პატივსაცემად.

მთელ დარბაზში გაისმის შეძახილები:

— გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

—გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მამასა და მეგობარს—დიდ სტალინს!

— დიდება ამხანაგ სტალინს!

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი დახურულად აცხადებს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობას.

ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში ზეიმით გაისმის პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი".

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა, არჩეული საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მიერ

### საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები

ი. ბ. სტალინი
ლ. პ. ბერია
კ. ნ. ჩარკვიანი
ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი
მ. ი. ბარამია
ვ. ბ. გოგუა
ზ. ნ. კეცხოველი
ა. ე. თოფურიძე
რ. ს. შადური
ვ. გ. ცხოვრებაშვილი
გ. ნ. ზამბახიძე
ვ. მ. ბაქრაძე
ს. მ. იშხანოვი
კ. ს. ციმაკურიძე
თ. ი. ტოლბუხინი
ა. ი. ანტონოვი
ნ. მ. რუხაძე
გ. თ. კარანაძე
მ. მ. ლელაშვილი
ი. დ. კოჭლამაზაშვილი
ი. ს. ზოდელავა
გ. ა. ალავიძე
ნ. ვ. პავჩინსკი
ბ. გ. ნანიტაშვილი
ა. ი. მგელაძე
კ. გ. ბეჭვაია
ა. გ. იმნაძე
გ. ე. ნარსია
დ. ე. კოლესნიკოვი
კ. გ. ჭიჭინაძე
ს. მ. ჭელიძე
მ. კ. ბალავაძე
გ. დ. ჯავახიშვილი
გ. ზ. ქარჩავა
ვ. დ. კუპრავა
ა. ა. გიგოშვილი
გ. გ. თვალჭრელიძე
მ. კ. დელბა
გ. ს. კიკნაძე
გ. დ. ჩაჩიბაია
გ. ნ. კოკაია
ვ. ვ. სიხარულიძე
შ. დ. ნუცუბიძე
ბ. ი. ყურაშვილი
ა. ს. ხუჯაძე
ე. ი. ჩერქეზია
ს. ა. მარიდაშვილი
ი. პ. უუჯიაშვილი
რ. ა. კვირკველია
მ. დ. ჩუბინიძე
ნ. ბ. გაბუნია
გ. ი. მიხანაშვილი
გ. ი. კიკნაძე
ვ. დ. კუპრაძე
გ. მ. გორდეზიანი
თ. ნ. ქვლივიძე
დ. ა. ჭიჭინაძე
ვ. ვ. ბარბაქაძე
ა. ნ. რაფავა
ლ. ა. რუხაძე
ს. ვ. საყვარელიძე
დ. ზ. ცირეკიძე
მ. ი. ჯაში
ვ. ვ. მირიანაშვილი
მ. ბ. ნარსია
ვ. პ. გუგუნავა
ნ. ა. გიორგაძე
ი. ი. ძებისაშვილი
კ. მ. ილურიძე
ვ. ი. ეგნატაშვილი
ი. რ. ხვედელიანი
გ. ა. გოჩაშვილი
ვ. ა. ლოლაძე
ნ. პ. სარქისოვი
ვ. ა. ხატიაშვილი

### საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

ა. პ. ჯიშიაშვილი
ბ. ვ. ხოშტარია
მ. ა. გოგოლიშვილი
ი. დ. კულუხოვი
ა. ი. კოჭლავაშვილი
ი. ი. ნიბლაძე
კ. პ. ბზიავა
გ. ა. რობაქიძე
შ. დ. გეთია
ნ. ი. ნიჟარაძე
დ. გ. ხანთაძე
ნ. ა. ჟვანია
ა. ი. ბონდარევი
ვ. ე. სალაძე
ბ. ე. ლომიძე
ბ. ი. გუჯეჯიანი
ვ. დ. კობახიძე
ი. ლ. დვალი
შ. ი. ჭანუყვაძე
ლ. ნ. გაბრიაძე
გ. ნ. ჯიბლაძე
პ. პ. პეტრიაშვილი
შ. ს. შეყლაშვილი
ა. თ. კვაჭაძე
თ. კ. ქუთათელაძე
დ. ვ. გელაშვილი
გ. ი. კეჩხუაშვილი
გ. გ. ფოფხაძე
ა. ა. ჭიჭინაძე
გ. პ. ზედგინიძე
მ. დ. ციხისთავი
ი. ა. ფეიქრიშვილი
ვ. ი. ტოგონიძე
ა. მ. ჭეჟია
ე. პ. ტაკიძე
ი. ი. ლეკიშვილი

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა, არჩეული საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მიერ

ი. პ. ვაცეკი
ა. დ. გიორგაძე
ვ. ი. შონია
კ. მ. თარგამაძე
ა. ფ. კისელიოვი
ნ. ი. გიგაური-ჩარკვიანი
შ. გ. მაისურაძე
ე. დ. ჯვებენავა
ი. მ. ბურჯალიანი
შ. ო. წერეთელი
მ. ბ. ალავერდაშვილი
ნ. ა. ოვანოვი
ვ. ა. გონგაძე
ი. ნ. ლაღიძე
ა. თ. ხელიძე
გ. დ. ჟორჟიკაშვილი
შ. ვ. კოჭლაძე
გ. ს. სეხნიაშვილი
მ. ვ. კვარაცხელია

# საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობა

რამდენიმე დღეა თბილისში მუშაობს XIV ყრილობა საქართველოს კომპარტიისა, რომელიც საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ერთ-ერთი უძველესი, ბრძოლებში გამოცდილი რაზმია. საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყარა დიდი ლენინის დიდმა თანამებრძოლმა ამხანაგმა სტალინმა. იქ, ამიერკავკასიის პროლეტარებში, დაიწყო მან თავისი მგზნებარე რევოლუციური მოღვაწეობა. იქ გამოჰედა თბილისის, ბაქოს, ბათუმის პირველი რევოლუციური მარქსისტული ორგანიზაციები, რომლებიც მძლავრი ლენინური არმიის მებრძოლი ნაწილი გახდნენ. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე სტალინური წრთობით მტკიცე ამიერკავკასიელ ბოლშევიკებს მაღლა უჭირავთ ლენინიზმის დროშა.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობა აჯამებს იმ უდიდესი მუშაობის შედეგებს, რომელიც საქართველოს ბოლშევიკებმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გასწიეს სამამულო ომის პერიოდში და ომისშემდგომ ხუთწლედში. ომის წლებში, როცა მთელი ჩვენი პარტია და თვითეული მისი რაზმი უდიდეს და უძნელეს გამოცდას აბარებდა, საქართველოს ბოლშევიკებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი. საქართველოს კომპარტიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა. ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ ქართველ ხალხს მის თავდადებულ ბრძოლაში გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ. უმაგალითო სიმამაცითა და გმირობით ქართველი ხალხის შვილებმა ფრონტზე ცხადყვეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი. კავკასიის მშრომელებმა მთელი ძალები დარაზმეს მტრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს ფრონტს. ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი გამარჯვების საქმეში.

ომის დამთავრების შემდეგ ქართველი ბოლშევიკების წინაშე, ისევე როგორც მთელი ჩვენი პარტიის წინაშე, დაისახა ისტორიული ამოცანა —განემტკიცებინათ გამარჯვება, წაეწიათ წინ და უზრუნველეყოთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური სიმძლავრის ახალი აღმავლობა. ხუთწლედის განვლილმა სამმა წელმა ცხადყო, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია წარმატებით სძლევს ამ ამოცანასაც.

საქართველოს ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ მთელ ქართველ ხალხს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში, და ამ ბრძოლას მოაქვს თავისი დიდი ნაყოფი. ჯერ კიდევ 1947 წელს საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციამ გადააჭარბა ომამდელ დონეს. ომისშემდგომი ხუთწლედის წლებში საქართველო თავის ისტორიაში პირველად ქმნის მეტალურგიულ და საავტომობილო მრეწველობას — გაჩაღებულია ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა რუსთავში და საავტომობილო ქარხნისა ქუთაისში. მნიშვნელოვნად ფართოვდება რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული ბაზა. დიდდება მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვება. საწარმოებში ხდება ახალ-ახალი სახის ნაწარმის ათვისება.

სერიოზული წარმატებანი მოიპოვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობამ. მატულობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, დიდდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა. პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი შრომა გასწია კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. წლითიწლობით დიდდება ციტრუსოვანი კულტურების ფართობი. შარშან მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსოვანთა ნაყოფის, ჩაის ფოთლის, თამბაქოს, ყურძნის დამზადების გეგმები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა რიგებში არის ასობით სოციალისტური შრომის გმირი, ათასობით ორდენოსანი; მათი გამოცდილება ქართველი ხალხის დიდ სიმდიდრეს შეადგენს.

სამეურნეო წარმატებებთან ერთად საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ აღნიშნა მიღწევები ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურის განვითარების საქმეში. ქართველ მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, მოქანდაკეებს სტალინური პრემიები მიენიჭათ მთელი რიგი ნაშრომებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ყველა წარმატებას ატყვია საქართველოს კომპარტიის წარმმართველი როლი. მთელი რიგი წლების მანძილზე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ლ. პ. ბერია, რომელმაც საქართველოს ბოლშევიკები აღზარდა პარტიისადმი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საკავშირო მთავრობის დიდი დახმარებით საქართველოს სს რესპუბლიკამ, რომელსაც მისი პარტიული ორგანიზაცია წარმართავს, ომისშემდგომ წლებში დიდი ნაბიჯი წადგა წინ და სამართლიანად იმყოფება საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობა, აღნიშნავს რა მიღწეულ წარმატებებს, მთელ თავის ყურადღებას უთმობს ახალი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ამხანაგი სტალინი ჩვენს პარტიას, პარტიისა და სახელმწიფოს კადრებს ზრდის ნაკლოვანებებისადმი ბოლშევიკური შეურიგებლობის სულისკვეთებით, განუწყვეტელი წინსვლის სულისკვეთებით. ყრილობაზე გამოსული საქართველოს ბოლშევიკები ლაპარაკობენ უდიდეს, ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებზე, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მთელი სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

მრეწველობაში საქართველოს ბოლშევიკების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ ყველა საწარმომ ხანიმუშოდ შეასრულოს გეგმები, დაჩქარდეს სამრეწველო და საბინაო მშენებლობის ტემპი, ამაღლდეს წარმოების კულტურა, გაუმჯობესდეს მუშაობის ხარისხი, გადიდდეს საწარმოთა მომგებიანობა.

სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ უდიდესი მუშაობა უნდა გასწიოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, მეცხოველეობის აღმავლობისათვის, ციტრუსოვანთა ბაღების გაფართოებისათვის. ყრილობაზე აღინიშნა, რომ ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ამავე დროს ქართველი ბოლშევიკები ამოცანად ისახავენ რვა-ათი წლის განმავლობაში ერთისამად, ერთიოთხად გაადიდონ ციტრუსოვანი კულტურების, ჩაის მოსავალი, სამჯერ-სამნახევარჯერ გაადიდონ ღვინის წარმოება, მკვეთრად გაადიდონ თამბაქოს ნედლეულის მოსავალი. საქართველო არა მარტო ძირითადი ბაზაა ციტრუსოვანთა ნაყოფით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მომარაგებისა, მის წინაშე დასახულია აგრეთვე საპატიო ამოცანა—გახდეს ციტრუსოვანთა კულტურის გამავრცელებელი სსრ კავშირის სხვა რაიონებშიც, გაუზიაროს მათ შეძენილი უდიდესი გამოცდილება, დაეხმაროს სანერგე მასალით. რესპუბლიკის რთულ და მრავალფეროვან სოფლის მეურნეობაში ახალი სერიოზული წარმატებანი რომ მოიპოვონ, ამისათვის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ თვითეული რაიონის, თვითეული კოლმეურნეობის კომპეტენტური, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დამყარებული, ხელმძღვანელობა.

საქართველოს ბოლშევიკების წინაშე უდიდესი ამოცანები დგას იდეოლოგიური მუშაობის დარგში, მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური აღზრდის დარგში. პარტიული ორგანიზაცია მოვალეა უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს კადრების იდეურ წრთობას, გააძლიეროს იდეოლოგიური მუშაობა ინტელიგენციაში, ყოველდღიურად იზრუნოს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთ ნაწარმოებთა შექმნისათვის, რომლებიც სიმართლითა და მკაფიოდ ასახავენ ჩვენი ხალხის გმირულ შრომას, ხელს უწყობენ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას. საქართველოს ინტელიგენციას უნარი შესწევს შექმნას სტალინური ეპოქის დიად საქმეთა შესაფერი ნაწარმოებნი!

ეკონომიკისა და კულტურის დარგში ახალი გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მთელი შინაპარტიული მუშაობის გაძლიერებას. საქართველოს მთელი პარტორგანიზაციის 70 პროცენტს შეადგენენ ახალგაზრდა კომუნისტები, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში შევიდნენ პარტიაში. ამიტომ საქართველოს კომპარტიამ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს პარტიული განათლების საქმე. აქ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული. უზრუნველყოფილ უნდა იქნას მაღალი იდეური დონე პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობაში, სალექციო პროპაგანდაში, საჭირო დახმარება უნდა ეწეოდეთ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობა მიმდინარეობს უდიდესი აღმავლობის ვითარებაში, ცხადყოფს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადის, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების გენიალური ორგანიზატორის ამხანაგ სტალინის გარშემო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მჭიდრო დარაზმულობას. საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ქართველი ხალხი ერთსულოვან ოჯახად, ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წავლენ წინ ჩვენი სახელოვანი სოციალისტური სამშობლოს ახალი გამარჯვებებისაკენ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

„პრავდის" 29/I მოწინავე

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

## ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შესახებ

14 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ვრცელი განცხადება მყვირალა სახელწოდებით „ვაშენებთ მშვიდობას. კოლექტიური უშიშროება ჩრდილო ატლანტიკის რაიონში".

ამ ოფიციალურ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ეგრეთ წოდებული „ჩრდილო ატლანტიკის პაქტის" საკითხზე, რომლის შესახებაც მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კანადასთან ერთად გასული წლის ზაფხულიდან აწარმოებს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობებთან.

თუ შარშან კოლექტიური თავდაცვის საბაბით დასავლეთ ევროპის აღნიშნული ხუთი სახელმწიფოს მმართველმა წრეებმა ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით შექმნეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, წელს ხორციელდება „ჩრდილო ატლანტიკის კავშირის" შექმნის ინგლისურ-ამერიკული შორსგამიზნული გეგმა ევროპის იმავე ქვეყნებისა და კანადის მონაწილეობით და ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მეთაურობით.

პრეზიდენტმა ტრუმენმა 20 იანვრის გამოსვლაში განაცხადა, რომ ახლო მომავალში სენატს განსახილველად წარედგინება პროექტი ჩრდილო ატლანტიკის პაქტისა, რომლის ოფიციალურ მიზნებად გამოცხადებულია სურვილი განამტკიცონ უშიშროება ჩრდილო ატლანტიკის რაიონში.

## I

## დასავლეთის კავშირი ევროპაში ინგლის-ამერიკის აგრესიული ბლოკის იარაღია

1948 წლის მარტში ბრიუსელში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ურთიერთდახმარებისა და კოლექტიური თავდაცვის შესახებ დიდ ბრიტანეთსა, საფრანგეთსა, ბელგიასა, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგს შორის, რამაც დასაბამი მისცა დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს განცალკევებული დაჯგუფების შექმნას, რომელიც ცნობილია „დასავლეთის კავშირის" სახელით.

მხედველობაშია მიღებული, რომ დასავლეთის კავშირში შეყვანილი იქნება ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყანაც, რომლებიც მზად არიან თავიანთი პოლიტიკა შეუგუონ აღნიშნული დაჯგუფების მიზნებს, რომელსაც დიდი ბრიტანეთი მეთაურობს. ამასთან ერთად ცნობილია, რომ დასავლეთის კავშირის დამფუძნებლებმა იმთავითვე გამორიცხეს შესაძლებლობა ამ კავშირში მონაწილეობა მიეღო სახალხო დემოკრატიის რომელიმე ქვეყანასა და საბჭოთა კავშირს, რითაც გამოააშკარავეს, რომ დასავლეთის კავშირი შექმნილია არა მშვიდობისმოყვარე ევროპული ქვეყნების გაერთიანების მიზნით და საერთოდ ევროპაში არა მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, არამედ სხვა მიზნებით, რომელთაც მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებთან საერთო არა აქვთ რა.

შემთხვევითი როდია, რომ ამ დაჯგუფების მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწენი, დაწყებული ბრიტანეთის მინისტრ ბევინით, იძულებული გახდნენ აშკარად განეცხადებინათ, რომ დასავლეთის კავშირის შექმნა მოასწავებს მნიშვნელოვან ცვლილებას ამ ქვეყნების პოლიტიკაში. ამის დამალვა უკვე აღარც შეიძლებოდა, როცა ფარული მუშაობა ამ დაჯგუფების მოსამზადებლად უკვე დამთავრებული იყო. ძნელი არ არის დავინახოთ: ამ კავშირის შექმნა ნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ამ კავშირის სხვა მონაწილე ქვეყნების მთავრობებმა საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ახორციელებდნენ ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალი დემოკრატიული სახელმწიფოები მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ძალების დარაზმვას, რათა ბოლო მოეღოთ ჰიტლერული აგრესიისა და ფაშიზმისათვის და არ დაეშვათ აგრესიული ძალების აღორძინება ომის დამთავრების შემდეგ.

დასავლეთის კავშირის შექმნა, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკის სრულ შეცვლას გერმანიის საკითხში და ცხადყოფს ამ ქვეყნების მთავრობათა მიერ უარის თქმას გერმანიის მიმართ იმ დემოკრატიულ და ანტიაგრესიულ პოლიტიკაზე, რომელიც მიღებულ იქნა ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა იალტისა და პოტსდამის კონფერენციების მიერ.

მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეები ანტიჰიტლერულ კოალიციაში გაერთიანებული იყვნენ არა მარტო მისწრაფებით ძლევამოსილად დაემთავრებინათ განმათავისუფლებელი ომი ჰიტლერული გერმანიისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. ისინი გაერთიანებული იყვნენ აგრეთვე მისწრაფებით მომავალშიც არ დაეშვათ გერმანიის აგრესია, რომელმაც უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ორი მსოფლიო ომი გააჩაღა. სწორედ ამ კეთილშობილურმა მისწრაფებებმა თავისი გამოხატულება პოვეს იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებებით. გამოხატულებას ამავე პოლიტიკისას, რომელიც მიზნად ისახავს არ დაუშვას აგრესიული გერმანიის აღორძინება, წარმოადგენს ოცი წლის ვადით დადებული ხელშეკრულებანი მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირმა დადო ინგლისთან — 1942 წელს და საფრანგეთთან — 1944 წელს. სავსებით ცხადია, რომ პოლიტიკა, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა ამ და სხვა მსგავსი ხელშეკრულებებით, შეესაბამება არა მარტო ამ ხელშეკრულებათა ხელისმომწერი ქვეყნების ინტერესებს, არამედ ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებსაც.

საბჭოთა კავშირი ახლაც მტკიცედ დგას ამ პოლიტიკის ნიადაგზე, რაც სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურების იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებებს, რომლებსაც საფრანგეთი შეუერთდა. ეს პოლიტიკა მიმართულია ევროპაში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ და იმ სახელმწიფოს მხრივ ახალი აგრესიის თავიდან აცილებისაკენ, რომელიც ორი მსოფლიო ომის გაჩაღების მთავარი დამნაშავე იყო.

დასავლეთის კავშირის შექმნა იმას ნიშნავს, რომ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა უარი თქვეს აღნიშნული ანტიაგრესიული პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც მიღებულია იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე, და რომ ეს სახელმწიფოები გადავიდნენ ახალ, და ამასთან მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის უაღრესად საშიშ, პოლიტიკაზე, რომელიც მიზნად ისახავს მათს ბატონობას ევროპის სხვა ხალხებზე და ამ მიზნებისათვის გუშინდელი აგრესორის გამოყენებას, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ მათზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩავარდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ, თუმცა ბრიუსელის პაქტის ტექსტში სხვათა შორის ლაპარაკია მისწრაფებაზე არ დაუშვან გერმანიის მხრივ აგრესიის პოლიტიკის განახლება, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ერთად ცდილობენ ამჟამად ჩაითრიონ და თავის მიზნებისათვის გამოიყენონ დასავლეთი გერმანია, სადაც, პირველ რიგში, ინგლის-ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა დახმარებით მმართველობის ყველა რგოლში სულ უფრო მტკიცდებიან გერმანული რეაქციის ძველი პროჰიტლერული და მილიტარისტული ელემენტები. ის ფაქტი, რომ ამ შებრუნებამ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში მხარდაჭერა და წახალისება პოვა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მხრივ, მნიშვნელოვნად აძლიერებს ევროპის აღნიშნულ ქვეყნებში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებათა საფრთხეს, რომლებმაც უკუაგდეს მშვიდობისმოყვარეობის პოლიტიკა და დაადგნენ ევროპაში ახალი აგრესიის მომზადების გზას.

ურთიერთდახმარების შესახებ ყველა იმ ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ევროპის სხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის ინგლისსა და საფრანგეთთან დადო, და რომელთაც მიზნად აქვთ თავიდან აგვაშორონ გერმანიის მხრივ ახალი აგრესიის შესაძლებლობა და ამით ხელი შეუწყონ მშვიდობის განმტკიცებას ევროპაში, ხუთი დასავლეთი სახელმწიფოს სამხედრო კავშირს მხედველობაში აქვს არა იმდენად გერმანია, რამდენადაც შესაძლებლობა—მათ მიერ შექმნილი დასავლეთ სახელმწიფოთა დაჯგუფება გამოიყენონ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც მათი მოკავშირეები იყვნენ მეორე მსოფლიო ომის წლებში. დასავლეთი ქვეყნების მთელ რიგ სახელმწიფო მოღვაწეთა გამოსვლებში, აგრეთვე ინგლისურ-ამერიკულ და ფრანგულ პრესაში, აშკარად აკეთებენ აგრესიულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ დასავლეთის კავშირი შექმნილია სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოთა წინააღმდეგ, თუმცა ამ ქვეყნების პოლიტიკის მშვიდობისმოყვარეობა უდავო და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ასეთ მდგომარეობაში არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ, როგორც უნდა მიჩქმალონ ბრიუსელის ხელშეკრულების ნამდვილი მიზნები, დასავლეთის კავშირის შექმნას ამ სახელმწიფოთა თავდაცვის ინტერესებთან საერთო არა აქვს რა.

მეორე მხრივ, ახლა უკვე საკმაოდ გამორკვეულია, რომ იმ სიტუაციის დაუშვებლობის საბაბით, რომელიც საფრთხეში აგდებს ამ პაქტის მონაწილე ქვეყნების ეგრეთ წოდებულ „ეკონომიურ სტაბილობას", მხედველობაშია მიღებული სამხედრო ღონისძიებებისა და ყოველგვარი რეპრესიის გამოყენება მუშათა კლასისა და ამ სახელმწიფოთა შიგნით მზარდი დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, აგრეთვე კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ხალხთა გაძლიერებული განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდია, რომ ბრიუსელის პაქტი წარმოადგენს იმ კოლონიურ სა-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება
## ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შესახებ

(გაგრძელება)

ხელმწიფოთა კავშირს, რომლებიც კოლონიებში თავისი საუკუნეობრივი პრივილეგიების შესანარჩუნებლად ცდილობენ გამოიყენონ ახლადშექმნილი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება ამ კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზნით. ყოველივე ეს მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნავს დასავლეთის კავშირის ანტიდემოკრატიულ და რეაქციულ-აგრესიულ ხასიათს.

დასავლეთ ევროპის ხუთი სახელმწიფოს კავშირი წარმოადგენს ევროპის ქვეყნების იმ ეკონომიური გაერთიანების სამხედრო-პოლიტიკურ დამატებას, რომელიც შექმნილია ევროპაში „მარშალის გეგმის“ განსახორციელებლად. ევროპის ქვეყნების ორივე ეს დაჯგუფება თავის მიმართულებას იღებს ინგლის-ამერიკის ბლოკის მმართველი წრეებისაგან, ბლოკისა, რომელიც სრულიადაც არ არის დაინტერესებული აღნიშნულ დაჯგუფებებში შემავალი ყველა ამ ქვეყნის ნამდვილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ან, ყოველ შემთხვევაში, ეკონომიური მიზნების განხორციელებით, არამედ მიზნად ისახავს თავისი საკუთარი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიური პოზიციების განმტკიცებასა და შემდგომ გაფართოებას.

ისევე როგორც მარშალის გეგმის განხორციელება მიმართული არ არის ევროპის სახელმწიფოთა ნამდვილი ეკონომიური აღორძინებისაკენ, არამედ წარმოადგენს ევროპაში ინგლის-ამერიკის ვიწრო-ანგარებითსა და სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებთან „მარშალიზებული“ ქვეყნების პოლიტიკისა და ეკონომიკის შეგუების საშუალებას, სწორედ ასევე ახალი დაჯგუფების შექმნა სრულიადაც არ არის განზრახული დასავლეთის კავშირის მონაწილეთა ურთიერთდახმარებისა და კოლექტიური თავდაცვის მიზნით, რამდენადაც იალტისა და პოტსდამის შეთანხმებათა შესრულების პირობებში ამ ქვეყნებს არავითარი აგრესია არ ემუქრება, არამედ მიზნად ისახავს ევროპაში ინგლის-ამერიკის მმართველი წრეების განმტკიცებას და გაბატონებული გავლენის შემდგომ გაფართოებას და ევროპის სათანადო სახელმწიფოთა მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დაქვემდებარებას მათი ვიწრო მიზნებისადმი. ინგლის-ამერიკის ბლოკის ასეთი პოლიტიკური გეგმების შეუთავსებლობა მშვიდობის ინტერესებთან და ევროპის ქვეყნებში დემოკრატიის პრინციპების განხორციელებასთან სავსებით ცხადია.

გასული წლის მარტში დასავლეთის კავშირის წარმოშობისთანავე ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა განაცხადეს, რომ ამ კავშირს სრულ დახმარებას გაუწევენ.

ასეთი განცხადება სრულიად ბუნებრივი იყო, რამდენადაც ამ წრეებს სრული საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ ახალი დაჯგუფება მათ ვერსად გაექცევა და ინგლის-ამერიკის ყოველგვარი გეგმის სრულ დამოკიდებულებაში იქნება. ყოველი შემთხვევისათვის დასავლეთის კავშირში მაინც შეყვანილ იქნენ სპეციალური ამერიკელი მეთვალყურენი, რომელთა როლიც გასაგებია. ახლა ჩანს, რომ რაც უფრო სწრაფად და უფრო შორს წავლენ დასავლეთის კავშირის ქვეყნები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირისადმი დაპირისპირების გზით, რაშიც მათ ყოველნაირად ხელს უწყობს ინგლის-ამერიკის ბლოკის პოლიტიკა, მით უფრო მეტად მოექცევიან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების გაბატონებული წრეების პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულებაში, გაბატონებული წრეებისა, რომელთაც სრულიად არ აინტერესებთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ეკონომიური აღორძინება.

ასეთი მდგომარეობის შედეგი იქნება წინააღმდეგობათა აუცილებელი გამწვავება, რაც უკვე ჩანს ყოველ ნაბიჯზე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ბლოკის ქვეყნებს შორის, ისე თვით დასავლეთ ევროპის დაჯგუფების შიგნით. ეკონომიური აღორძინების ჯანსაღსა და მტკიცე ბაზაზე როდია შექმნილი დასავლეთ ევროპის ახალი დაჯგუფება, რომელსაც თავისებური დამხმარე მნიშვნელობა აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ უფრო ფართო ევროპულ დაჯგუფებას, რომელიც შექმნილია „მარშალიზებული“ ქვეყნებისაგან. იგი არა თუ რაიმე არსებით პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს ახალი დაჯგუფების მონაწილე ქვეყნებს, არამედ მან, როგორც ცნობილია, სრულიადაც ვერ შეუშალა ხელი უფრო და უფრო გაძლიერებული ეკონომიური სიძნელეების წარმოშობას დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში, ხელი ვერ შეუშალა აგრეთვე უმუშევრობის უდიდეს ზრდას ზოგიერთ ამ სახელმწიფოში და ვერ შეძლო თუნდაც რამდენადმე დამაიმედებელი პერსპექტივები დაესახა მათს შემდგომ ეკონომიურ განვითარებაში. ამ დაჯგუფების აგრესიული მიზნები თავს იჩენენ აგრეთვე არმიებისა და სამხედრო ბიუჯეტების გადიდების სულ ახალ-ახალი მოთხოვნით, რაც უფრო მეტად უთხრის ძირს მადი შემდგომი და მყარი ეკონომიური აღმავლობის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, ასეთი მდგომარეობა იწვევს სერიოზულ პოლიტიკურ სიძნელეთა სულ უფრო გაძლიერებას ამ სახელმწიფოებში. და ეს იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი და სოციალისტური განვითარების გზაზე შემდგარი სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მიდიან განუხრელი და სწრაფი ეკონომიური აღდგენისა და აღმავლობის გზით და, ამასთან ერთად, დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებისა და იმ ხალხთა პოლიტიკური დარაზმვის გზით, რომლებიც რეაქციული, მჩაგვრელი რეჟიმებისაგან განთავისუფლდნენ.

დასავლეთის კავშირმა ცოტა ღონისძიება როდი მიიღო თავისი ორგანიზაციული გაფორმებისათვის. ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე შეიქმნა არა მარტო საკონსულტაციო საბჭო, არამედ ამ კავშირის მუდმივი ორგანოც ლონდონში ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან. შეიქმნა აგრეთვე დასავლეთი კავშირის სამხედრო კომიტეტი და თავდაცვის შტაბიც კი, რომელიც შედგება ხუთი სახელმწიფოს შტაბების უფროსთაგან ბრიტანელ ფელდმარშალ მონტგომერის მეთაურობით, თუმცა დასავლეთის კავშირის დამფუძნებლებს არ ძალუძთ დაასახელონ რაიმე აგრესიის საფრთხე მათი სახელმწიფოებისათვის. აჩქარება ყველა ამ ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელებაში, მათ შორის ახლანდელი მშვიდობიანი ვითარების პირობებში სამხედრო შტაბის შექმნა, სრულიადაც იმას არ მოწმობს, რომ ახალი დაჯგუფების მონაწილენი გამსჭვალული არიან მისწრაფებით — უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა ევროპაში. ფუსფუსი ამ ღონისძიებათა განხორციელებაში უფრო იმას მოწმობს, რომ ამით მიზნად ისახავენ პოლიტიკური ზეგავლენა მოახდინონ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაზე, მათ შორის გერმანიის დასავლეთ ნაწილზეც, რათა ყველა ამ ღონისძიების გარშემო სარეკლამო ხმაურის საშუალებით დააჩქარონ ამ ქვეყნების ჩაბმა დასავლეთ დაჯგუფებაში და, ამასთან ერთად, ხელი შეუწყონ ევროპის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ წრეებში შეშფოთების, ურწმუნოებისა და ომის ისტერიის გაძლიერებას, რაც ამჟამად ერთ-ერთ მთავარ ტაქტიკურ ამოცანას წარმოადგენს ევროპაში ინგლის-ამერიკის ბლოკის აგრესიული პოლიტიკის განვითარებაში.

ევროპაში ამ ახალი დაჯგუფების შექმნასთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები უკანასკნელ თვეებში ეწეოდნენ მზადებას ჩრდილო ატლანტიკის კავშირის შექმნისათვის დასავლეთ ევროპის იმავე ხუთი სახელმწიფოს, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობით. ჩრდილო ატლანტიკის კავშირის მიზნები მნიშვნელოვნად უფრო ფართოა, ვიდრე დასავლეთ ევროპის დაჯგუფების მიზნები, ამასთან ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ეს მიზნები უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის ძალით დამყარების გეგმებთან.

## II
## ჩრდილო ატლანტიკის პაქტი და ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის გეგმები

თუ დასავლეთის კავშირის შექმნა შეესაბამება ინგლის-ამერიკის ბლოკის მიზნებს ევროპაში, ახლა უკვე ჩანს, რომ დასავლეთ ევროპის დაჯგუფება მხოლოდ ერთი და ისიც არა მთავარი რგოლია იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომლებსაც ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის დამყარების გეგმები შეიცავენ. ანიჭებენ რა დიდ ბრიტანეთს მთავარ ადგილს დასავლეთის კავშირში, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს სრული შესაძლებლობა აქვთ მათთვის საჭირო ზეგავლენა მოახდინონ მთელი დასავლეთ ევროპის დაჯგუფების პოლიტიკაზე.

არ შეიძლება დავივიწყოთ აგრეთვე ის, რომ გასული წლის დამლევს ძალაში შევიდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის რიო-დე-ჟანეიროში დადებული ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისათვის საჭირო გავლენას ამ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაზე.

ევროპაში დასავლეთის კავშირის განხორციელებას და საამერიკათაშორისო პაქტის ძალაში შესვლას სახელმწიფო დეპარტამენტი ზემოხსენებულ დოკუმენტში განიხილავს როგორც დიდმნიშვნელოვან პირობას, რომელმაც მოამზადა ნიადაგი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის მსოფლიო მასშტაბით განხორციელებისათვის. ამასთან მთავარ რგოლად ამ პოლიტიკის განხორციელებაში წამოყენებულია ჩრდილო ატლანტიკის პაქტი, რომლის დასაყრდენიც უნდა გახდნენ ქვეყნების უკვე შექმნილი დაჯგუფებანი ევროპასა და ამერიკაში, ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა მთელი ამ საქმის განხორციელება თავიდანვე თავიანთ ხელში აიღეს.

თავის დოკუმენტში „კოლექტიური უშიშროება ჩრდილო ატლანტიკის რაიონში“ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ცდილობს წარმოადგინოს მის მიერ მომზადებული ჩრდილო ატლანტიკის პაქტი, როგორც რეგიონალური შეთანხმება უშიშროების საკითხებზე ჩრდილო ატლანტიკის ქვეყნებს შორის, რითაც მიჩქმალულია ამ პაქტის ნამდვილი ხასიათი და ჭეშმარიტი აზრი. ასეთი პაქტის აუცილებლობის მოყვანილი ახსნის უსაფუძვლობა უკვე იქიდან ჩანს, რომ, როგორც ყველასთვის ცნობილია, ჩრდილო ატლანტიკის ქვეყნებს არავითარი აგრესია არ ემუქრება.

ჩრდილო ატლანტიკის პაქტის ნამდვილი ხასიათი და ჭეშმარიტი მიზნები უფრო მეტად რომ შეენიღბა, სახელმწიფო დეპარტამენტს მოუხდა მიმართა შეუსაბამო მონაჭორებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის „ობსტრუქციონისტული პოლიტიკის“ შესახებ და განზრახ ბუნდოვანი განცხადებებისათვის, რომ საჭიროა „უმეტესი ძალა შეაგებონ პოტენციურ აგრესორს“, რაც თითქოს მოვალეობაა ქვეყნების სპეციალური დაჯგუფებისა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომლებსაც არ შეუძლიათ დაელოდონ იმ დროს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საკმაოდ განმტკიცდება.

სახელმწიფო დეპარტამენტმა ვერ დამალა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი მტრული ხასიათი ჩრდილო ატლანტიკის პაქტისა, მაგრამ დასჯერდა ყოველნაირ ბუნდოვან გადაკრულ მითითებებს „პოტენციური აგრესორის“ შესახებ. ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო დეპარტამენტმა ვერც ის გაბედა, რომ პირდაპირ ეთქვა მის მიერ მომზადებული ახალი ხელშეკრულების ანტისაბჭოთა მიზნების შესახებ, ვინაიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკის აგრესიულობის შესახებ ცილისწამების გავრცელება უფრო და უფრო შებრუნდება ხოლმე საერთაშორისო საზოგადოებრივ წრეებში იმათ წინააღმდეგ, ვინც პოლიტიკური ბრძოლის ასეთ ბინძურ საშუალებებს იყენებს.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების პროექტი და ის გარემოებანი, რომლებიც მის მომზადებას ახლავან, ააშკარავებენ ინგლის-ამერიკის ბლოკის მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისაკენ.

თუმცა ჩრდილო ატლანტიკის პაქტი ითვალისწინებს, რომ მასში მონაწილეობას მიიღებენ, მისი ბირთვის სახით,— ევროპის ხუთი ქვეყანა, კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები, მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ ამ საქმეში ხელმძღვანელობა ეკუთვნით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს, რომლებსაც ბლოკი აქვთ დიდი ბრიტანეთის, როგორც ევროპაში ყველაზე ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოს, მმართველ წრეებთან. ასეთ მდგომარეობაში ჩრდილო ატლანტიკის პაქტი ფაქტიურად იქცევა მთავარ იარაღად ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკისა „ატლანტიკის ორივე მხარეს“, ესე იგი დედამიწის ორივე ნახევარსფეროში, და, ამრიგად, შეესაბამება აგრესიულ მისწრაფებებს ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის დამყარებისაკენ, რაც, როგორც ცნობილია, გამოცხადებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავარ ომისშემდგომ ამოცანად ჩერჩილის გახმაურებულ სიტყვაში, რომელიც მან ფულტონში წარმოთქვა პრეზიდენტ ტრუმენის თავმჯდომარეობით შემდგარ უჩვეულო მიტინგზე.

გარდა შეერთებული შტატებისა, კანადისა და დასავლეთ ევროპის ხუთი სახელმწიფოსი, ისეთი „ჩრდილო ატლანტიკის“ სახელმწიფოს ჩათვლით, როგორიცაა ლუქსემბურგი, ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების პროექტი შესაძლებლად თვლის მის მონაწილეთა რიცხვში აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს შეყვანას. ამასთან დაკავშირებით ახლა ცოტა მითქმა-მოთქმა როდია.

ლაპარაკობენ იმაზე, რომ ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობა მიაღებინონ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა შვეცია, ნორვეგია და დანია, ამასთან აღნიშნავენ ამ საქმეში ნორვეგიის მთავრობის თავისებურ აქტივობას. ზოგიერთნი წინადადებას იძლევიან, რომ ამ მხრივ არსებულ სიძნელეებს გვერდი აუარონ განსაკუთრებული სკანდინავიის პაქტის განხორციელების გზით, რამაც, ამ გეგმების თანახმად, ხელი არ უნდა შეუშალოს სკანდინავიის ქვეყნების მოქცევას იმ სახელმწიფოთა ორბიტში, რომლებსაც ფაქტიურად „ჩრდილო ატლანტიკის“ დაჯგუფება ხელმძღვანელობს.

აცხადებენ, რომ ლაპარაკია ჩრდილო ატლანტიკის პაქტში ფრანკისტული ესპანეთის, პორტუგალიის, იტალიისა და თვით თურქეთის მონაწილეობის შესაძლებლობაზე და, ეტყობა, მიაჩნიათ, რომ ასეთი საშუალებითაც შეიძლება ხელი შეუწყონ ეგრეთ წოდებული „ჩრდილო ატლანტიკის“ ხელმძღვანელი დაჯგუფების ამოცანების შესრულებას. ამასთან ერთად ლაპარაკია იმ გეგმაზე, რომ შეიქმნას ხმელთაშუა ზღვის კავშირი ან აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის პაქტი, როგორც „ჩრდილო ატლანტიკის“ დაჯგუფების ერთ-ერთი დამხმარე იარაღი.

ასეთი გეგმები, რომ შეიქმნას სახელმწიფოთა სულ ახალ-ახალი განკერძოებული დაჯგუფებანი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მფარველობით, მხოლოდ იმას ცხადყოფენ, რომ იმ ძირითადი იმპერიალისტური დაჯგუფების მიზნები, რომელსაც ახლა ჩრდილო ატლანტიკის პაქტის საფუძველზე აკოწიწებენ, სრულებითაც არ ატარებენ რეგიონალურ ხასიათს, არამედ ასახავენ გარკვეულ სახელმწიფოთა დედამიწის ყველა ნაწილში ბატონობის პრეტენზიებს.

ამასვე მოწმობს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების დაჯგუფების შექმნის პროექტი, რის განხორციელებასაც შეუდგნენ ამას წინათ დელში (ინდოეთი) შემდგარ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნა ინდონეზიის საკითხის განხილვის საბაბით. მაგრამ მარტო მაამებლობა ამ ქვეყნების მთავრობათა ზოგიერთი ლიდერისა, ცხადია, არ კმარა იმისათვის, რომ აზიის ხალხები დათანხმდნენ იმ მოლიპულ გზაზე დადგომას, რომლისკენაც მათ გამალებით ეწევიან კოლონიურ საქმეებში გამოცდილი სახელმწიფოები და მათი მდიდარი მფარველები.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ, ახორციელებენ რა ჩრდილო ატლანტიკის კავშირის შექმნას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები ცდილობენ ამ საქმეში ჩაბან, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებით, რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო და ამ საშუალებით ხელთ იგდონ ისინი. ამისათვის მიმართავენ ყოველგვარ მართებულ და უმართებულო საშუალებას, იყენებენ საფინანსო და სხვა ეკონომიური ნასუფრალის მიგდებას, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ჰპირდებიან ქვეყნებს, რომლებიც „დოლარის პოლიტიკის“ ზემოქმედებით ახალ-ახალ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიან, აშინებენ არარსებული საფრთხით „პოტენციური აგრესორის“ მხრივ და ამავე დროს მიმართავენ მცირე სახელმწიფოთა მთავრობებზე ზემოქმედების უხეშ საშუალებებს.

მაგრამ ერთ რამეში მდგომარეობა სრულიად გარკვეულად უნდა ჩაითვალოს. ისევე როგორც დასავლეთის კავშირის შექმნისას, ჩრდილო ატლანტიკის პაქტის სულისჩამდგმელებმა თავიდანვე გამორიცხეს ამ პაქტში სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესაძლებლობა და აგრძნობინეს, რომ ეს სახელმწიფოები არათუ არ შეიძლება გახდნენ ხელშეკრულების მონაწილენი, არამედ ჩრდილო ატლანტიკის პაქტი მიმართულია სწორედ სსრ კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

როგორც ყოველივე აქედან ჩანს, ჩრდილო ატლანტიკის პაქტის მიზნები ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა ხელთ იგდონ რაც შეიძლება მეტი სახელმწიფოს სადავე, მოუსპონ მათ დამოუკიდებელი ეროვნული საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა და გამოიყენონ ეს სახელმწიფოები დამხმარე საშუალებად თავიანთი აგრესიული გეგმების განხორციელებაში, რომლებიც მიმართულია ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის დამყარებისაკენ. ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ შეიძლება ჩრდილო ატლანტიკის პაქტში ან სახელმწიფოთა სხვა მსგავს კავშირებში სსრ კავშირის და ახალი დემოკრატიის ქვეყნების მონაწილეობაზე.

შესაძლოა, ზოგი ვინმე ერთხანს კიდეც ვარაუდობდა, რომ ომისშემდგომ პერიოდში, ზემოქმედების ყველა და ყოველნაირი საშუალებისა და გარედან მუქარის გზით, მოხერხდებოდა საბჭოთა კავშირის აცდენა მის მიერ არჩეული სოციალისტური გზიდან, რამდენადაც ზოგიერთი „ჭკუის კოლოფი“ ვარაუდობდა, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში მძიმე სამხედრო და ეკონომიური განსაცდელის შედეგად, საბჭოთა კავშირი იმდენად დასუსტდებოდა, რომ ვეღარ შეძლებდა საკუთარი ძალებით გაერთმია თავი შინაგანი სიძნელეებისათვის და უნდა დაეთმო თავისი სოციალისტური პოზიციები, რათა ეკონომიური დახმარება მიეღო ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან. ასეთი ვარაუდების უაზრობა ყველა ჩვენგანისათვის აშკარაა, მაგრამ ეს როდი გამორიცხავს ყოველნაირი ბეცი ვარაუდებისა და ჩვენი საბჭოთა სამშობლოსადმი მტრული გეგმების არსებობის შესაძლებლობას.

ზემოთ მოხსენიებულ ოფიციალურ დოკუმენტში სახელმწიფო დეპარტამენტი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ვერ მოხერხდა „სამი წლის უსარგებლო ცდებით მიღწეული ყოფილიყო საბჭოთა პოლიტიკის შეცვლა“. სახელმწიფო დეპარტამენტი ამას, აშკარაა, იმ მიზნით აცხადებს, რომ გაამართლოს ჩრდილო ატლანტიკის კავშირის შექმნის ახლანდელი გეგმები, ვინაიდან უკვე აღარ შეიძლება დამალონ ანტისაბჭოთა ხასიათი „ჩრდილო ატლანტიკის“ დაჯგუფებისა, რომელსაც ამჟამად ქმნიან.

ნათქვამიდან ჩანს, რომ სინამდვილეში ჩრდილო ატლანტიკის პაქტი წარმოადგენს სახელმწიფოთა ვიწრო ჯგუფის აგრესიულ მისწრაფებათა ყველაზე ნათელ გამოხატულებას და, უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების მისწრაფებათა გამოხატულებას, რომლებსაც სურთ ასე თუ ისე შეუფარდონ თავიანთი ამ მიზნების განხორციელებას სხვა სახელმწიფოების დამთმობ ან პირდაპირ მათზე დამოკიდებულ მთავრობათა პოლიტიკა. აგრეთვე სავსებით ცხადია, რომ დასავლეთის კავშირიც და სახელმწიფოთა საამერიკათაშორისო დაჯგუფებაც, ისევე როგორც ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოთა, სკანდინავიის ქვეყნების, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების პაქტები, რომლებსაც ახლა ამზადებენ, და სხვა, მჭიდროდ დაკავშირებულია ჩრდილო ატლანტიკის პაქტის მიზნების განხორციელებასთან, რომელსაც წარმმართველი მნიშვნელობა აქვს ინგლის-ამერიკის გეგმებში, რომ თავიანთი ბატონობა დაამყარონ დასავლეთ ევროპაშიც, ჩრდილო ატლანტიკაშიც, სამხრეთ ამერიკაშიც, ხმელთაშუა ზღვაშიც, აზიაშიც, აფრიკაშიც და ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ.

მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ, ერთია ყოველნაირ დაჯგუფებათა შექმნა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ბრიტანეთის ფორეინ-ოფისის კანცელარიებში შეთითხნილ ახალ-ახალ პაქტებზე ხელმოწერათა შეგროვება და, ცხადია, სულ სხვაა იმ მიზნების ნამდვილად მიღწევა, რომლებსაც ამ დაჯგუფებათა და პაქტების სულისჩამდგმელნი ისახავენ.

ამ დაჯგუფებათა შექმნა და პაქტებზე ხელის მოწერა თავისთავად კიდევ ვერ სპობს იმ მრავალ უთანხმოებასა და წინააღმდეგობას, რომლებიც სინამდვილეში არსებობენ ამ პაქტების ხელმომწერ ქვეყნებს შორის. ინგლის-ამერიკის ბლოკის შიგნითაც კი ამ პაქტების გაჩენა სრულებითაც არ ამცირებს წინააღმდეგობებს მთავარ პარტნიორებს შორის, რამდენადაც ორივე სახელმწიფოს აგრესიული მისწრაფებანი ყოველ ნაბიჯზე ეჯახებიან ერთმანეთს. მით უფრო უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება სხვადასხვა პაქტების უბრალო ხელმოწერით აღმოიფხვრას ინტერესთა წინააღმდეგობა ამ დაჯგუფებებში შემავალ დიდ და მცირე ქვეყნებს შორის, როცა ერთ პარტნიორს ან სახელმწიფოთა ერთ ჯგუფს სურს ყველა შემთხვევაში სარგებელი ნახოს სხვა პარტნიორის ხარჯზე ან სახელმწიფოთა სხვა ჯგუფის ხარჯზე, რისთვისაც გამოიყენოს ზეგავლენისა და ეკონომიური ზემოქმედების ყოველნაირი საშუალებანი.

არ შეიძლება დავივიწყოთ აგრეთვე ის, რომ ყველა ქვეყანა როდი დათანხმდება მიემხროს ამ დაჯგუფებებს და ყველა ის სახელმწიფო, რომელიც უკვე მიემხრო მათ, როდი დათანხმდება ყველა შემთხვევაში უშენიშვნოდ დაემორჩილოს ინგლის-ამერიკის დიქტატს.

შემდეგ, განა შეიძლება ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტის უგულებელყოფა, როგორიცაა ამ ბოლო დროს დაწყებული უდიდესი აღმავლობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა აღმოსავლეთის ქვეყნებში იმ ხალხთა შორის, რომლებისთვისაც მხოლოდ ახლა შეიქმნა წელში გამართვის საშუალება.

დასასრულ, უნდა ვთქვათ საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე, რომლებიც ახორციელებენ თავიანთი ხალხების ნამდვილ ნებას და მეგობრობისა და თანასწორუფლებიანობის დიად პრინციპებს სხვა ერებთან ურთიერთობაში.

თვით არსებობა საბჭოთა სახელმწიფოსი მისი მზარდი ძლიერებითა და საერთაშორისო ავტორიტეტით, აგრეთვე მძლავრი მხარდაჭერა, რასაც მას უწევენ დემოკრატიული ძალები სხვა ქვეყნებში, დაუძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოს მსოფლიო ბატონობის დამყარების ყველა და ყოველგვარი გეგმების გზაზე, რამაც უკვე ჰპოვა თავისი ისტორიული დადასტურება ფაშისტურ სახელმწიფოთა ლიკვიდაციით, რომლებმაც სცადეს განეხორციელებინათ მსოფლიო ბატონობის თავიანთი ფანტაზიორული გეგმები. ამ გეგმებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდება ინგლის-ამერიკის ბატონობის დამყარების ახლანდელი გეგმები.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გასაგები ხდება ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანს ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნები და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატები ესოდენ დიდად არიან გატაცებულნი თავიანთი არმიების უმაგალითო გაფართოებით, თავიანთი სამხედრო ბიუჯეტების უზარმაზარი გადიდებით, მსოფლიოს ყველა ნაწილში სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შემდგომი მშენებლობით და ყოველგვარი სხვა სამხედრო გეგმებით, გატაცებული არიან იმდენად, რომ აწყობენ ამავე მიზნით ატომური ბომბების გამოყენების ავაზაკურ გეგმებს.

ამ აღვირახსნილი აგრესიული პოლიტიკის გასამართლებლად ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები ყოველგვარი საშუალებითავრცელებენ შიშსა და ურწმუნობას ევროპისა და ამერიკის საზოგადოებრივ წრეებში, ომისშემდგომ პერიოდში დემოკრატიული ძალებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმაგალითო ზრდას ხელოვნურად ხატავენ, როგორც რაღაც „საშიშ აგრესიას“; მთავრობის მოღვაწეთა წრეშიც კი აქეზებენ იმათ, რომლებიც ფაქტიურად იქცევიან ომის აქტიურ გამჩაღებლებად, მიუხედავად იმისა, რომ ომის პროპაგანდა ერთსულოვნად დაგმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ: თავიანთ სხვა და სხვა დამქაშებსა და მათზე დამოკიდებულ პრესას სულ უფრო უსისიანებენ ისეთ მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს, როგორიცაა სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოები, არ ერიდებიან უამრავი სიცრუის გავრცელებას და ომით დამუქრებას.

ყოველივე ეს მათ იმიტომ სჭირდებათ, რომ ხშირად თავს არიდებენ თავიანთ ქვეყნებში მომწიფებულ შინაგან პრობლემათა ნამდვილ გადაჭრას შეცვლილი ისტორიული ვითარების შესაბამისად, და ამიტომ თავიანთ შემდგომ ვარაუდებს უმთავრესად უკავშირებენ გარეთ ამა თუ იმ აგრესიული მიზნების განხორციელების გეგმებს, თუნდაც რომ ესმოდეთ, რომ ეს სხვანაირად არ განხორციელდება, თუ არა ძალადობის გზით, თუ არა ახალი ომის გაჩაღების გზით.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები შეუდგნენ სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნას როგორც ატლანტის, ისე წყნარ ოკეანეში, აგრეთვე ბევრ შორეულ ზღვაში, მათ შორის ისეთ რაიონებშიც, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს დაშორებულია რამდენიმე ათასი კილომეტრით. მას შემდეგ ამერიკის სამხედრო ბაზების რაოდენობა არათუ არ შემცირებულა, არამედ მნიშვნელოვნად გადიდდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნახევარსფეროში, როგორც ევროპის, ისე ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. მთელი სახელმწიფოები, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოთაგან, რომლებიც სსრ კავშირის საზღვრების მახლობლად მდებარეობენ, გამოყენებული არიან იმისათვის, რომ უზრუნველყონ უფრო მოხერხებული პლაცდარმები ინგლის-ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სსრ კავშირზე თავდასხმის სხვა შესაძლებლობისათვის. ასეთ სახელმწიფოებში განუწყვეტლივ შეაქვთ სხვადასხვა იარაღის მარაგი ამერიკის მიერ ამ ქვეყნებისათვის მიცემული ახალ-ახალი კრედიტების ხარჯზე.

არც ერთ გონიერ ადამიანს არ შეუძლია ამტკიცოს, რომ ეს კეთდება ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მიზნით. მეორე მხრივ, ცნობილია აგრეთვე, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც აგრესიულ სახელმწიფოთა განადგურებით დამთავრდა, შეერთებული შტატებისათვის აგრესიის არავითარი საფრთხე არ არსებობს.

შემდეგ, შეიძლება თუ არა შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც შეინარჩუნეს თავიანთი გაერთიანებული სამხედრო შტაბი ვაშინგტონში, რომელიც ჩუმჩუმად განაგრძობს მუშაობას და ამზადებს აგრესიის ახალ გეგმებს. ასეთი გეგმები რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხომ არ იქნებოდა ვაშინგტონის ამ შტაბის ახლანდელ მშვიდობიან პირობებში შენარჩუნების მიზეზებიც და საჭირო არ იქნებოდა ამერიკის, აგრეთვე ბრიტანეთის ჯარები გაეგზავნათ ახალ-ახალ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე.

ამერიკის ჯარები ამჟამად იმყოფებიან არა მარტო ევროპისა და აზიის ქვეყნებში ყოფილი მტრების ტერიტორიებზე თავიანთი ომისშემდგომი საოკუპაციო ამოცანების შესასრულებლად. ამერიკის ჯარები კვლავ რჩებიან მთელი რიგი იმ სახელმწიფოების ტერიტორიებზე, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შედიან. უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა დაიჩემეს უფლება თავისი ჯარები გაგზავნონ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, როგორიცაა, მაგალითად, ევროპაში საბერძნეთი ან აზიაში ჩინეთი, იმ საბაბით, თითქოს ეს საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებისათვის.

სრულიად ცხადია, რომ ასეთ საგარეო პოლიტიკას შეერთებული შტატების თავდაცვის კანონიერ ინტერესებთან საერთო არა აქვს რა, რომ ეს პოლიტიკა მთლიანად გამსჭვალულია ძალადობის სულისკვეთებით, აგრესიის სულისკვეთებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები ცდილობენ აგრესიული გეგმების განხორციელების იარაღად მოამზადონ დასავლეთი გერმანიაც და იაპონიაც, ისინიც გახადონ იმ აგრესიის მონაწილეებად, რომელსაც ამზადებენ.

შემთხვევითი როდია ისიც, რომ შეერთებული შტატები ყოველგვარი საბაბით აჭიანურებენ საზავო ხელშეკრულებათა დადებას როგორც გერმანიასთან, ისე იაპონიასთან. ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების იმ საგარეო პოლიტიკის ბუნებრივი შედეგი, რომელიც ახლა მიმართულია არა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისაკენ, არამედ აგრესიული გეგმების განხორციელებისაკენ.

ფართოდ ცნობილია აგრესიული ხასიათი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკისა მზარდი დემოკრატიული ძალების და მთელი დემოკრატიული ქვეყნების მიმართ. ბერძენ ხალხს დღემდე ვერ დაუღწევია თავი შექმნილი ჩიხისათვის, რადგან ხალხისათვის უცხო რეაქციული ძალები მძლავრ დახმარებას იღებენ გარედან,

(დასასრული მე-4 გვერდზე)

[illegible] ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შესახებ

(დასასრული)

საკმარისი იყო ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შარშან რამდენადმე აელაგმათ რეაქციული წრეები თავიანთ ქვეყანაში და მხარი დაეჭირათ მოწინავე დემოკრატიული ძალებისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი ინგლის-ამერიკის ბლოკის მმართველმა წრეებმა საშინელი ხმაური ატეხეს ჩეხოსლოვაკიის საშინაო ამბების გარშემო, და ყოველნაირად შეეცადნენ მის საშინაო საქმეებში ჩარევას.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლის-ამერიკის ბლოკის სხვა ქვეყნების მმართველი წრეები სულ უფრო ცხადყოფენ, რომ არა სურთ ანგარიში გაუწიონ იმ შეთანხმებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ამას წინათ ერთსულოვნად იყო მიღებული ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივი პოლიტიკის განხორციელების საფუძვლად.

ბერლინის საკითხის მაგალითით საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები დაინტერესებულად არ თვლიან თავს სსრ კავშირთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით. მაშინაც კი, როცა ისინი ამაზე ლაპარაკობენ, მთელი საქმე იფარგლება შეთანხმებასა და თანამშრომლობაზე ლაპარაკით, რაც მთავრდება წინანდელ შეთანხმებებზე პირდაპირი უარით და სსრ კავშირთან ყოველგვარი ნამდვილი თანამშრომლობის პირდაპირი ჩაშლით. საქმე იქამდე მივიდა, რომ სსრ კავშირთან ვაჭრობის დარგში ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ ფაქტიური ბოიკოტის შეუწყნარებელ პოლიტიკას, რაც ამ პოლიტიკის სულისჩამდგმელებს ახასიათებს, როგორც იმ პრინციპის მომხრეებს, რომ „სსრ კავშირის მიმართ ყველა საშუალება კარგია", თუმცა ეს პოლიტიკა ვნებს, უწინარეს ყოვლისა, იმ ქვეყნის ავტორიტეტს, რომლისაგანაც ის არის შთაგონებული.

ყველა ეს ფაქტი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ომისშემდგომ საგარეო პოლიტიკას ეხება, იმას მოწმობს, რომ ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეები ამჟამად არათუ არ ახორციელებენ მტკიცე საყოველთაო მშვიდობის დამყარების პოლიტიკას, არამედ, პირიქით, გადავიდნენ ისეთ პოლიტიკაზე, რომელსაც არ შეიძლება სხვა რაიმე ეწოდოს, თუ არა აგრესიის პოლიტიკა, თუ არა ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკა.

სწორედ ასეთი მიზნების განსახორციელებლად არის განკუთვნილი ჩრდილო ატლანტიკის პაქტი, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში ინგლის-ამერიკის ბატონობის ძალით დამყარების გეგმებს და ამრიგად შეესაბამება ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის მიზნებსაც.

ამ პაქტის უკან დგანან არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი აგრესიული წრეები და არა მარტო მისი ისეთი ბრიტანელი შთამგონებელნი, როგორიც არიან ჩერჩილი ან ბევინი, არამედ ომის ბევრი სხვა, უფრო წვრილფეხა გამჩაღებელიც. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ასეთი თუ მსგავსი პაქტების ხელმოწერა ჯერ კიდევ არ იძლევა გარანტიას და ჯერ კიდევ არ ქმნის ასეთი პაქტების შთამგონებელთა მიერ დასახული აგრესიული მიზნების განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, თუ რა ერთსულოვანი მხარდაჭერით შეხვდნენ დემოკრატიული წრეები ყველა ქვეყანაში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ი. ბ. სტალინის ცნობილ განცხადებას, რომ „ხალხთა ხსოვნაში მეტად ცოცხალია ამასწინანდელი ომის საშინელებანი და მეტად დიდია საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას, და ჩერჩილის მოწაფეებს აგრესიის დარგში არ ძალუძთ მათი დაძლევა და ახალი ომისაკენ მიბრუნება".

■■■

## ჩრდილო ატლანტიკის კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ძირის გამოთხრაა

სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ დოკუმენტში მიმართავენ ცდას ჩრდილო ატლანტიკის კავშირის, აგრეთვე ზემოხსენებულ სხვა დაჯგუფებათა შექმნა დაასაბუთონ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებისადმი" მისწრაფებით. ასეთი განცხადება დამაჯერებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს დავეთანხმოთ, რომ ჩრდილო ატლანტიკის კავშირისა და სხვა დაჯგუფებებისა და ბლოკების შექმნამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლითა და მის ზურგსუკან, თითქოს შეიძლება ხელი შეუწყოს ამ ორგანიზაციის განმტკიცებას. მაგრამ ასეთი ვარაუდი, რა თქმა უნდა, პირდაპირ აბსურდია.

ნამდვილად კი ჩრდილო ატლანტიკის კავშირის შეკოწიწება, რომელიც სათავეში უდგას სახელმწიფოთა მთელ რიგ განცალკევებულ დაჯგუფებებს დედამიწის სხვადასხვა ნაწილში, წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ახლანდელი პოლიტიკის მიერ საბოლოოდ კავშირის გაწყვეტას იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები ერთსულოვნად ახორციელებდნენ სხვა მრავალ ერებთან ერთად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის დროს, მისი წესდების შემუშავებისა და დამტკიცების დროს. ყველასათვის ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ განუხილავს საკითხი ჩრდილო ატლანტიკის კავშირის, ან დასავლეთის კავშირის, ან საამერიკათაშორისო პაქტის შექმნის შესახებ. აგრეთვე ცნობილია, რომ ხმელთაშუა ზღვის კავშირის, ან სკანდინავიის დაჯგუფების, ან სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების გაერთიანების და სახელმწიფოთა სხვა ახალი კავშირების შექმნის საკითხის განხილვა ამჟამად ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილეობის მიუღებლად და ამ ორგანიზაციისათვის აშკარად გვერდის ავლით.

ამ დაჯგუფებათა მონაწილეებს და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელ წრეებს ესმით, რომ მათთვის ხელსაყრელი არ არის ამ საკითხების დასმა გაერთიანებული ერე- [illegible] მმართველი წრეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ამ ბლოკებისა და დაჯგუფებათა შექმნით ფაქტიურად აყენებენ მომხდარი ფაქტის წინაშე. ყოველივე ეს ხელს როდი უშლის მათ ყოველ ნაბიჯზე ილაპარაკონ, თითქოს როგორც ჩრდილო ატლანტიკის კავშირი, ისე მათ მიერ შექმნილი სხვა ბლოკები და დაჯგუფებანი ხელს უწყობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებას. მაგრამ ეს სიტყვები უკვე აღარავის სჯერა. ამ სიტყვებს მნიშვნელობას არ აძლევენ ისინიც კი, ვინც ამგვარ განცხადებას აკეთებს.

საქმით კი ჩრდილო ატლანტიკის კავშირი და მის მომხრე სახელმწიფოთა დაჯგუფება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები მეთაურობენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის პირდაპირ ძირის გამოთხრას წარმოადგენენ. დღეს ეს დაჯგუფებანი მიმართული არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის შელახვისაკენ, ხოლო ხვალ მათ შეუძლიათ ამ ორგანიზაციის დანგრევა გამოიწვიონ. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ტყუილად კი არ წარმოებს სისტემატური ძირგამომთხრელი მუშაობა ამ ორგანიზაციის საფუძვლების წინააღმდეგ, რაც თავის გამოხატულებას პოულობს განსაკუთრებით იმ მისწრაფებით, რომ ბოლო მოუღონ წესდებაში გათვალისწინებულ პრინციპს ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთხმივობისას საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრის დროს.

ჩრდილო ატლანტიკის კავშირის საკითხში თავისი პოზიციის განსამტკიცებლად სახელმწიფო დეპარტამენტი იმოწმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. მაგრამ ეს დამოწმება არათუ დამაჯერებელი არ არის, არამედ განსაკუთრებული უპასუხისმგებლობითაც კი გამოირჩევა.

სახელმწიფო დეპარტამენტი იმოწმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 52-ე მუხლს, სადაც ლაპარაკია იმ რეგიონალურ შეთანხმებათა განხორციელების შესაძლებლობაზე, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს შეესაბამებიან. ასეთი მუხლი, [illegible] 52-ე მუხლში რეგიონალურ შეთანხმებათა მიზნებისა და პრინციპების შესახებ.

ჩრდილო ატლანტიკის პაქტი საერთოდ არ შეიძლება მიეკუთვნოს რეგიონალურ შეთანხმებებს, რადგან იგი მოიცავს დედამიწის ორივე ნახევარსფეროს სახელმწიფოებს და მიზნად ისახავს არა ამა თუ იმ რეგიონალურ საკითხებს, არამედ ისეთ სახელმწიფოთა მთელი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრას, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, რომლებიც მუდამ ერევიან ბევრი სხვა სახელმწიფოს საქმეებში, ამასთან დედამიწის ყოველ ნაწილში. მხოლოდ დაცინვით შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ ჩრდილო ატლანტიკის პაქტი რეგიონალურ შეთანხმებას წარმოადგენს. ის, ვინც პატივსა სცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 52-ე მუხლს, ამას არ იტყვის, ვინაიდან ჩრდილო ატლანტიკის კავშირი შექმნილია არა 52-ე მუხლის საფუძველზე, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ძირითადი პრინციპების პირდაპირი დარღვევით.

სახელმწიფო დეპარტამენტი იმოწმებს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლს, სადაც ლაპარაკია „ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებაზე, თუ შეიარაღებული თავდასხმა მოხდა ორგანიზაციის წევრზე", ხოლო უშიშროების საბჭოს ჯერ კიდევ არ შეუძლია მიიღოს სათანადო ღონისძიებანი საერთაშორისო მშვიდობის შესანარჩუნებლად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ასეთი მუხლის აუცილებლობა სრულიად ცხადია. მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე ცხადია, რომ ჩრდილო ატლანტიკის დაჯგუფების შექმნა ოდნავაც არ შეიძლება გამართლებულ იქნას 51-ე მუხლით.

ეს, უწინარეს ყოვლისა, იქიდან ჩანს, რომ არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, არც დიდ ბრიტანეთს, არც ჩრდილო ატლანტიკის სხვა ქვეყნებს არავითარი შეიარაღებული თავდასხმა არ ემუქრებათ. მარტო ამ მოსაზრებით სრულიად უსაფუძვლოა 51-ე მუხლის ყოველგვარი დამოწმება იმისათვის, რომ გამართლებულ იქნას ჩრდილო ატლანტიკის კავშირის შექმნა.

ჩრდილო ატლანტიკის დაჯგუფება იქმნება სრულიადაც არა თავდაცვისათვის, და საერთოდ არა იმ ამოცანებისათვის, რომლებზეც ლაპარაკია წესდების აღნიშნულ მუხლში. ჩრდილო ატლანტიკის კავშირი შეერთებული შტატების მეთაურობით არავისთვის საჭირო არ იქნებოდა, რომ არ არსებობდეს მისწრაფება — ძალით დაამყარონ შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ბატონობა სხვა ქვეყნებზე, რომ არ არსებობდეს მისწრაფება — ძალით დაამყარონ ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობა. ჩრდილო ატლანტიკის პაქტი საჭიროა სრულიადაც არა თავდაცვისათვის, არამედ აგრესიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის განხორციელებისათვის.

აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ცდებს — წესდების 51-ე მუხლით გაამართლოს ჩრდილო ატლანტიკის კავშირის შექმნა — არავითარი ნიადაგი არა აქვს, რომ ამ მითითებას შეუძლია მხოლოდ შეცდომაში შეიყვანოს ფართო საზოგადოებრივი წრეები, მაგრამ არ შეიძლება წარმოადგენდეს ახალი ჩრდილო ატლანტიკის დაჯგუფებისა და ყოველგვარი მისი მსგავსი დამხმარე კავშირებისა და ბლოკების შექმნის მიზეზებს ნამდვილ ახსნას.

ასეთია საქმის ვითარება სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე და 52-ე მუხლებზე მითითების მხრივ.

თუ უადგილოდ ვცნობთ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაზე მითითებას, უნდა მივმართოთ ჩრდილო ატლანტიკის კავშირის შექმნის მოტივების იმ მეორე ახსნას, რომელსაც აგრეთვე შეიცავს ხსენებული დოკუმენტი. ამასთან სახელმწიფო დეპარტამენტის მითითება ეგრეთწოდებულ ვანდენბერგის რეზოლუციაზე, რომელიც ამერიკის სენატმა მიიღო, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

მართალია, გასული წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მოიწონა ვანდენბერგის მიერ შეტანილი რეზოლუცია ამერიკის საგარეო პოლიტიკის **„ახალი მიმართულების"** შესახებ. სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტში ნათქვამია, რომ [illegible] სფეროს ფარგლებს გარეთ მყოფ ქვეყნებს, დადონ მათთან შეთანხმება კოლექტიური უშიშროების შესახებ, რომელიც მიმართულია მშვიდობის უზრუნველყოფისა და ჩვენი საკუთარი უშიშროების განმტკიცებისაკენ".

სახელმწიფო დეპარტამენტის ეს განცხადება ერთხელ კიდევ აბათილებს მის საკუთარ მტკიცებას, რომ ჩრდილო ატლანტიკის დაჯგუფება რეგიონალური ხასიათისაა. იგი ამასთანავე ცხადყოფს, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკაში ისეთი ცვლილებები მოხდა, რომლებიც ცხადყოფენ ამ პოლიტიკის ახლანდელ აშკარა აგრესიულ ხასიათს.

აღნიშნული რეზოლუცია ხელ-ფეხს უხსნის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მშვიდობიან დროს ყოველგვარი საერთაშორისო კავშირების შექმნის საქმეში და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს უშიშროების უზრუნველყოფის საბაბით საშუალებას აძლევს შევიდნენ ყოველგვარ დაჯგუფებაში და ჩაებან ყოველგვარ ავანტიურაში, რაც სავსებით შეესაბამება შეერთებული შტატების მმართველი წრეების ახლანდელ აგრესიულ განწყობილებას.

ამერიკის სენატის მიერ ამ რეზოლუციის მიღება იმას მოასწავებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა არა მარტო უარყვეს ყველა თავიანთი მთავარი ვალდებულებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ, არამედ აგრეთვე დაადგნენ ახალ კურსს თავიანთი საგარეო პოლიტიკისას, რომელიც ამიერიდან მიმართულია ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის ძალადობით დამყარებისაკენ. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ამერიკის სენატის მიერ მიღებული რეზოლუცია მოასწავებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა მხარი დაუჭირეს აგრესიის პოლიტიკას, ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ასეთი ახალი გეზის დროს საკვირველი არ არის, რომ ეს პოლიტიკა თავისი მახვილით მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. რამდენადაც საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები თანმიმდევრულად იცავენ საყოველთაო მშვიდობის საქმეს და განუწყვეტლივ იბრძვიან ახალი ომის ყველა და ყოველგვარი გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნისადმი კეთილმოსურნე დამოკიდებულებას არ უნდა მოველოდეთ უცხოეთის იმ წრეებისაგან, რომლებიც ახალი აგრესიის შთამგონებელნი არიან და რომლებიც ამჟამად თავის ენერგიას ახალი ომის მომზადებას ახმარენ.

საბჭოთა კავშირს დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებები აქვს შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთთან როგორც დასავლეთში გერმანიის, ისე აღმოსავლეთში იაპონიის მიმართ ერთობლივი პოლიტიკის საკითხებზე. ეს შეთანხმებანი კარგ საფუძველს უნდა წარმოადგენდნენ დემოკრატიულ საწყისებზე საყოველთაო მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად. ამ შეთანხმებებს ახლა ყოველ ნაბიჯზე ფეხქვეშ თელავენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები, რადგან ეს წრეები ახლა საგარეო პოლიტიკის ახალ კურსს დაადგნენ და არა სურთ ანგარიში გაუწიონ მათ მიერ ხელმოწერილ შეთანხმებებს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა დაარღვიეს წინანდელ შეთანხმებათა შინაარსი და აზრი და ახლა ქმნიან ეგრეთ წოდებულ „ჩრდილო ატლანტიკის კავშირს" არა მარტო სსრ კავშირის მონაწილეობის მიუღებლად, არამედ პირდაპირი მიზნით — გამოიყენონ ეს დაჯგუფება სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირს აქვს აგრეთვე მეგობრობისა და ურთიერთდახმარების 20-წლიანი ხელშეკრულებანი დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან. ეს შეთანხმებანი მთლიანად შეესაბამებიან საყოველთაო მტკიცე მშვიდობის ინტერესებს და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის. მაგრამ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მმართველი წრეები აშკარად ფეხქვეშ თელავენ ამ ხელშეკრულებებს და უგულებელყოფენ ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ვალდებულებებს — საბჭოთა კავშირთან ერთად დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობა ევროპაში. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები, როგორც ცნობილია, მონაწილეობენ ჩრდილო ატლანტიკის დაჯგუფების შექმნაში და, გარდა ამისა, თავიანთი უშიშროების განმტკიცების საბაბით შექმნეს ეგრეთ წოდებული „დასავლეთის კავშირი" არა მარტო სსრ კავშირის მონაწილეობის მიუღებლად, არამედ პირდაპირი მიზნით — გამოიყე- [illegible] შირთან ერთად ის მთავარი ქვეყნები იყვნენ, რომლებმაც მოამზადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა. სხვა გაერთიანებულ ერებთან ერთად ერთსულოვნად აღიარებულ იქნა, რომ ეს ოთხი სახელმწიფო და ჩინეთი უნდა მიისწრაფოდნენ ერთსულოვანი თანამშრომლობისაკენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, და ამიტომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთხმივობის პრინციპი საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების თითქმის მეორე დღესვე დაიწყო ამ ორგანიზაციისათვის ძირის გამოთხრა. თუმცა ეს სხვისი ხელით კეთდებოდა, მაგრამ ყველა ხედავდა და ყველამ იცოდა, რომ ძირგამომთხრელ მუშაობას მიმართულებას აძლევდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები.

რით აიხსნება ეს?

ეს იმით აიხსნება, რომ როგორც კი დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა წარმოიდგინეს, რომ სწორედ მათ, და არა ხუთსავე დიდ სახელმწიფოს ერთად, უნდა ეკუთვნოდეთ ხელმძღვანელი როლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ხოლო რამდენადაც საბჭოთა კავშირი მოითხოვდა და მოითხოვს, რომ ზუსტად შესრულდეს ის, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაშია ნათქვამი ხუთივე დიდი სახელმწიფოს შეთანხმებული მოქმედების საჭიროების შესახებ, რადგან მხოლოდ ასეთ შეთანხმებულ მოქმედებას შეუძლია ნამდვილად უზრუნველყოს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესები, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა გააძლიერეს თავდასხმა სსრ კავშირზე და უფრო ინტენსიური მუშაობა გააჩაღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ძირის გამოსათხრელად.

ყოველივე ეს არასაკმაო აღმოჩნდა. რამდენადაც საბჭოთა კავშირი და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოები თანახმა არ არიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება შეიცვალოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები, ცხადია, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ისინი ვერ შეძლებენ მთლიანად გამოიყენონ თავიანთი აგრესიული პოლიტიკისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რასაც ისინი მაინც ცდილობენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება შემავიწროებელი გახდა მათთვის, ხოლო თავიანთი თავდასხმებით სსრ კავშირზე — იმისათვის, რომ იგი იცავს იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, — მათ ვერაფერს მიაღწიეს, რადგან ოდნავაც ვერ შეურყიეს პოზიცია საბჭოთა მთავრობას, რომელიც იცავს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების წმიდა საქმეს და თანმიმდევრულად ამხილებს ყველა და ყოველგვარ აგრესორსა და ომის გამჩაღებელს.

რაკი ამაში დარწმუნდნენ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა, როგორც ჩანს, გააკეთეს დასკვნა, რომ მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლით უნდა იმოქმედონ. სწორედ ამ პოლიტიკის განხორციელებამ გამოიწვია ჩრდილო ატლანტიკის კავშირის, აგრეთვე სახელმწიფოების სხვა დაჯგუფებათა შექმნა, რომლებიც შეიქმნა და ახლაც იქმნება საიდუმლო გზებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზურგსუკან.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ჩრდილო ატლანტიკის კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ძირის გამოთხრაა. არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ, რომ ამით გამოიხატება ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების გაუნუხრელი მისწრაფება — საბოლოოდ გამოუთხარონ ძირი და დაანგრიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც, რაც უნდა იყოს, აბრკოლებს და ხელს უშლის იმას, რომ მათ სავსებით გამოიყენონ თავიანთი აგრესიული პოლიტიკისათვის სხვა სახელმწიფოები და რომელიც არ შეიძლება უსიტყვო იარაღი გახდეს ინგლის-ამერიკის ბლოკის ხელში ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის ძალადობით დამყარების პოლიტიკის განსახორციელებლად.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ ცდილობენ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მმართველი წრეები, რომლებიც აგრესიის პოლიტიკას აწარმოებენ და ახალ ომს ამზადებენ, ყველგან აწარმოონ სსრ კავშირის იზოლაციის პოლიტიკა, თუმცა ეს პოლიტიკა მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა უხეში დარღვევაა.

მაშასადამე, ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკის ეგრეთ წოდებული „ახალი მიმართულება" იმაში მდგომარეობს, რომ ისინი **დაუბრუნდნენ** სსრ კავშირის იზოლაციის განხორციელებაზე დამყარებული საგარეო პოლიტიკის იმ **ძველ ანტისაბჭოთა კურსს**, რომელსაც ისინი მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ადგნენ და რომელმაც ევროპის ცივილიზაცია კინაღამ კატასტროფამდე მიიყვანა.

მსოფლიო ბატონობის აგრესიული გეგმებით გატაცებულმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა ვერ შეიგნეს, რომ მათი პოლიტიკის ეგრეთ წოდებული „ახალი მიმართულება", რომელიც ეწინააღმდეგება მათს ამასწინანდელ ვალდებულებებს სსრ კავშირის წინაშე და სხვა გაერთიანებული ერების წინაშე, არა მარტო ხელს ვერ შეუწყობს მათი პოლიტიკური და ეკონომიური პოზიციების განმტკიცებას, არამედ დაგმობილიც იქნება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მიერ, დაგმობილი იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ყველა მომხრის მიერ, რომელნიც ყველა ქვეყანაში დიდ უმრავლესობას შეადგენენ.

## ძირითადი დასკვნები

### პირველი დასკვნა

საბჭოთა კავშირი იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმ ფაქტს, რომ შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები დაადგნენ აშკარა აგრესიულ პოლიტიკურ კურსს, რომლის საბოლოო მიზანია ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის ძალადობით დამყარება, რასაც შეესაბამება აგრესიის პოლიტიკა, ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკა, რომელსაც ისინი ახორციელებენ.

ასეთი მდგომარეობის გამო, საბჭოთა კავშირმა უფრო ენერგიულად და უფრო თანმიმდევრულად უნდა აწარმოოს ბრძოლა ომის ყველა და ყოველგვარი გამჩაღებლის წინააღმდეგ, აგრესიისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის წინააღმდეგ, ბრძოლა საყოველთაო მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის.

საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის წარმოებულ ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირს თავის მოკავშირეებად მიაჩნია ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო და საყოველთაო დემოკრატიული მშვიდობის აურაცხელი მომხრე, რომელნიც ნამდვილად გამოხატავენ იმ ხალხთა გრძნობებსა და ფიქრებს, რომლებმაც თავიანთი მხრებით ზიდეს უკანასკნელი მსოფლიო ომის წარმოუდგენელი სიმძიმე და კანონიერი საფუძვლით უარყოფენ ყველა და ყოველგვარ აგრესორსა და ახალი ომის გამჩაღებელს.

### მეორე დასკვნა

ყველა ხედავს, რომ ამჟამად ძირს უთხრიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რადგან იგი ოდნავ მაინც უშლის ხელს და აბრკოლებს აგრესიულ წრეებს აგრესიისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის წარმოებაში.

ასეთი მდგომარეობის გამო, საბჭოთა კავშირი უფრო მტკიცედ და უფრო შეუპოვრად უნდა იბრძოდეს იმის წინააღმდეგ, რომ აგრესიული ელემენტები და მათი ხელშემწყობნი ძირს უთხრიდნენ და ანგრევდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, და უნდა ცდილობდეს იმის მიღწევას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კი არ აქეზებდეს ასეთ ელემენტებს, როგორც ეს ახლა ხშირად ხდება, არამედ უფრო უფრთხილდებოდეს თავის ავტორიტეტს, როცა საქმე ეხება იმათთვის წინააღმდეგობის გაწევას, ვინც აგრესიისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკას აწარმოებს.

---

## სამპროცენტიანი სესხის ტირაჟი

დღეს შედგება სამპროცენტიანი მომგებიანი სახელმწიფო სესხის მორიგი ძირითადი ტირაჟი. გათამაშებული იქნება 4.650,2 ათასი მანეთის 8.500 მოგება, მათგან ორი მოგება 50.000 მანეთიანი, 5 მოგება 25.000 მანეთიანი, 25 მოგება 10.000 მანეთიანი, 80 მოგება 5.000 მანეთიანი, 700 მოგება 1.000 მანეთიანი და 7.688 მოგება 400 მანეთიანი.

[illegible]

## შესწორება

„კომუნისტის" 27 იანვრის ნომერში პირველ გვერდზე მეოთხე სვეტის მეხუთე აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

„მრეწველობის დარგში მუშაობის ნაკლოვანებად უნდა აღინიშნოს ის, რომ ზოგიერთმა სამინისტრომ ვერ შეასრულა კაპიტალური მშენებლობის გეგმა". შემდეგ, როგორც ტექსტშია.

პასუხისმგებელი რედაქტორი [illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. [illegible]
ტირაჟი 118.000 [illegible] 00710